საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოლშევიკი სიცრუეა, ცრუილებით და ჭორებით ბუტითის გაფანა ყველა უკიდურესობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 10 ნოემბერი. 2022 წ. №173 (9511) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი



ნაციონალური ბანდის მოთავე

კეზერაშვილის თავზე შავი ღრუბლები მოგროვდა!

საქართველოს პროკურატურის და 7 ქვეყნის კომპეტენტური უწყებების წარმომადგენლების ჩართულობით ევროკავშირის მხარდაჭერით შექმნილი საერთაშორისო საგამოძიებო ჯგუფის მიერ ერთდროულად სამი ქვეყნის — საქართველოს, ალბანეთის და ჩრდილოეთ მაკედონიის ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი ღონისძიება ჩატარდა.

ერთობლივი ღონისძიების ფარგლებში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიციის, პროკურატურის და საქართველოს პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა საქართველოს ტერიტორიაზე საგამოძიებო მოქმედებები ათეულობით ლოკაციაზე ჩაატარეს.

ფართომასშტაბიან ღონისძიებაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 60 და საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების 250-მდე თანამშრომელი მონაწილეობდა. ღონისძიების ფარგლებში, განხორციელდა ხუთი ე.წ. ქოლცენტრის, ათეულობით ფიზიკური პირის, მათი საცხოვრებელი ბინების, ავტომანქანების და სამუშაო ადგილების ჩხრეკა.

ამოღებულია ასეულობით ელექტრონული მატარებელი, დოკუმენტაცია და დიდი ოდენობით ფულადი თანხა. ათეულობით ობიექტიდან გამოთხოვილია ელექტრონული ინფორმაცია. ამავდროულად ყადაღა დაედო სავარაუდოდ დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებებს და საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხას.

იხ. 2 გვ.

საქართველოს პროკურატურამ შვიდი ქვეყნის კომპეტენტური უწყებების წარმომადგენლების ჩართულობით ერთდროულად სამი ქვეყნის ტერიტორიაზე ტრანსნაციონალური დანაშაული გამოავლინა

2023 წლიდან წამლები აუცილებლად გაიაფდება! ⑥

თამთა მეგრელიშვილი:

ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ ამ თაღლითური სქემის სათავეში, რომელმაც ასი ათასობით პენსიონერი გააუბედურა, სწორედ ოლიგარქი კეზერა დგას ②

მთლად დაკარგულები...

გავიხსენოთ პარლამენტიდან გასული პოლიტიკოსები, რითი დაასრულეს კარიერა? საერთოდ დაიკარგნენ, ხალხმა დაივიწყა... ④

ომარ მარგველაშვილი:

③

დიდი ამერიკის ელჩია თუ... დასავლური ღირებულებების დამსამარებელი?!

რამაზ საყვარელიძე:

ევროპა უკრაინაში მილიარდებს ხარჯავს და საქართველოს წირავს, მერე მას რომ დასჭირდება საქართველო როგორც გზა და ჭიშკარი, მოტრიალდება და გეტყვის — შემეშალაო!..

⑤

„საბჭოთა ვიაგრა“, „კრემლის აბები“ და საბჭოთა პარამედიცინის სხვა საოცრებანი ⑧



საქართველოში ბავშვთა 28 პროცენტს ჭარბწონიანობა აწუხებს... ⑦

კეზერაშვილის თავზე შავი ღრუბლები მოგროვდა!

საქართველოს პროკურატურამ შვიდი ქვეყნის კომპეტენტური უწყებების წარმომადგენლების ჩართულობით ერთდროულად სამი ქვეყნის ტერიტორიაზე ტრანსნაციონალური დანაშაული გამოავლინა

(პირველი გვერდიდან) **ფართომასშტაბიანი** ღონისძიების ფარგლებში, პირველ ეტაპზე სისხლისსამართლებრივი დევნა სხვადასხვა ქვეყნებში დაწყებულია დანაშაულის ორგანიზატორთა გარკვეული ნაწილის მიმართ, საქართველოში დაკავებულია დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ-ერთი ორგანიზატორი, მისი შემდგომი ექსტრადირების მიზნით.

საერთაშორისო საგამოძიებო ჯგუფის მიერ ერთობლივად წარმოებული გამოძიება, უცხო ქვეყნების და საქართველოს მოქალაქეების მიერ, მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით ჩამოყალიბებული ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის საქმიანობის გამოვლენას ეხება.

გამოძიების მიერ ამ ეტაპზე მოპოვებული ინფორმაციით, დანაშაულებრივი ჯგუფის საქმიანობა მოიცავს სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, კომპანიების დაფუძნებას და მათ ბაზაზე ე.წ. ქოლცენტრების მოწყობას. აღნიშნული ქოლცენტრების მეშვეობით ევროკავშირის წევრი ქვეყნების, მათ შორის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეების კუთვნილი მილიონობით ევროს თაღლითურად დაუფლებას და შემდგომში მათ გათეთრებას.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების მიერ ე.წ. ქოლცენტრის ფუნქციონირებისთვის, ასეულობით საფირმო სახელწოდებით შექმნილია ელექტრონული სავაჭრო პლატფორმები, რომლებიც უზრუნველყოფდა მომხმარებლისაგან თაღლითურად მოპოვებული თანხების განთავსებას ფიქტიური საწარმოების საბანკო ანგარიშებზე.

ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა საქართველოს პროკურატურისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და უწყებას ამ მიმართულებით საერთაშორისო თანამშრომლობის, მათ შორის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კომპეტენტურ უწყებებთან ნაყოფიერი თანამშრომლობის გამოცდილება აქვს.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ ანალოგიურ დანაშაულებზე, გერმანელ კოლეგებთან თანამშრომლობის შედეგად, სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს პროკურატურის მიერ დაწყებულია ე.წ. ქოლცენტრების საქმიანობაში ჩართული ათეულობით ფიზიკური თუ იურიდიული პირის მიმართ.

ამ შემთხვევაშიც გამოძიება, გერმანულ მხარესთან, ასევე საერთაშორისო საგამოძიებო ჯგუფში ჩართული ქვეყნების კომპეტენტურ უწყებებთან, აქტიური თანამშრომლობით გაგრძელდება ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის საქმიანობაში ჩართული სხვა პირების მხილების მიზნით.

საქართველოს პროკურატურა მადლობას უხდის მაღალპროფესიონალურად და წარმატებით ჩატარებული ღონისძიებისთვის საქართველოს პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებს. ასევე, აღნიშნული ერთობლივი ღონისძიების ფარგლებში გაწეული დახმარებისთვის, ევროჯასტის წარმომადგენლებს.

საქართველოს პროკურატურა, ადასტურებს საკუთარ პატივისცემას საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს, ბატონი ელჩის, გერმანიის პოლიციის ატაშეს, ბამბერგის და დრეზდენის პროკურატურების, ასევე ბავარიის და საქსონიის სახელმწიფო პოლიციის წარმომადგენლებს მიმართ, და კიდევ ერთხელ გამოთქვამს ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღდეგ ბრძოლაში ეფექტიანი თანამშრომლობისთვის მზადყოფნას.

გერმანიის სამართალდამცავი ორგანოების სახელით გამართულ ბრიფინგზე სიტყვით გამოვიდა ბამბერგის გენერალური პროკურატურის უფროსი პროკურორი ნინო გოლდბექი.

„ბამბერგისა და დრეზდენის გენერალური პროკურატურის, ასევე გერმანიის პოლიციის უწყებების სახელით მინდა გადმოგცეთ უდიდესი მადლობა არაჩვეულებრივი დახმარებისა და მხარდაჭერისთვის, რომელიც განხორციელდა ერთობლივი საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში.

ჩვენ და თქვენ, საქართველოს გენერალური პროკურატურის, პოლიციის და სხვა კომპეტენტური ორგანოების წარმომადგენლებმა, არა მხოლოდ გუშინ მოახერხეთ ძალიან მაღალი დონის, მაღალი ხარისხის წარმატებული ღონისძიებების განხორციელება, არამედ არაჩვეულებრივი შედეგი დადეთ გასული თვეების განმავლობაში. თქვენი დაუღალავი შრომის გარეშე არასოდეს მოხერხდებოდა ამ კომპლექსური ღონისძიებების ამგვარად წარმატებულად განხორციელება.

ბამბერგისა და დრეზდენის გენერალური პროკურატურა უკვე მრავალი წელია, გერმანიის პოლიციის უწყებებთან ერთად სხვადასხვა ტიპის საგამოძიებო ღონისძიებებს ახორციელებენ კიბერდანაშაულის სფეროში ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ, ასევე საერთაშორისო დანაშაულებრივ ქსელებთან, თაღლითურ პლატფორმებთან დაკავშირებით.

ამ კუთხით მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობა არის გარდაუვალი. ცალსახაა, რომ ამ საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში, როგორც საქართველოში და ასევე სხვა ქვეყნებშიც ჯერ არ დასრულებულა გამოძიება. არაერთხელ აღინიშნა, რომ მოძიებული და ამოღებულია მტკიცებულებები, მონაცემები და ყველა მიმართულებით განხორციელდა საგამოძიებო მოქმედებები. ამას კიდევ მრავალი თვე დასჭირდება.

ჩვენ როგორც გერმანიის სამართალდამცავი ორგანოები, პოლიცია მზად ვართ, მომავალშიც გავუწიოთ ნებისმიერი სახის დახმარება საქართველოს პროკურატურას, პოლიციას და სხვა კომპეტენტურ ორგანოებს. კიდევ ერთხელ უდიდესი მადლობა ამ ძალიან ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის“.

თამთა მეგრელიშვილი: ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ ამ თაღლითური სქემის სათავეში, რომელმაც ასი ათასობით პენსიონერი გააუბედურა, სწორედ ოლიგარქი კეზერა დგას

ძართველმა და გერმანელმა პროკურორებმა „ქოლცენტრების“ საქმეზე კიდევ არაერთი პირი დააკავეს. ეს საქმე საბოლოოდ კეზერაშვილთან მიდის, — წერს „ხალხის ძალის“ წევრი თამთა მეგრელიშვილი.

„საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ბრიფინგი ხომ ნახეთ? ქართველმა და გერმანელმა პროკურორებმა „ქოლცენტრების“ საქმეზე კიდევ არაერთი პირი დააკავეს. ეს საქმე საბოლოოდ კეზერაშვილთან მიდის. ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ ამ თაღლითური სქემის სათავეში, რომელმაც ასი ათასობით პენსიონერი გააუბედურა, სწორედ ქართველი ოლიგარქი კეზერა დგას... აი ამის დასტურია ხაბეიშვილის, კეზერაშვილის ხელის ბიჭის აწიკვინება და ისრების სხვაგან გადატანა, მაგრამ ზუსტად იციან ამ ბანდის წევრებმა, რომ ყულფი მათ კისერზე უფრო და უფრო ვიწროვდება და მალე კეზერას ევროპელი პროკურორების საბრალდებო დასკვნას წაუკითხავენ!“.

ზურაბ ქადაგიძე: ქართველმა ოლიგარქმა ზუსტად იცის, რომ ევროპელი სამართალდამცველები მალე მის კართანაც მიაკაკუნებენ!!!

ძალიან ცოტაც დარჩა იქამდე, ვიდრე ე.წ. ქოლცენტრების საქმეზე ქართველი და გერმანელი პროკურორები ბრალს კეზერაშვილსაც წაუყენებენ! ქართველმა ოლიგარქმა, კეზერაშვილმა ზუსტად იცის, რომ ევროპელი სამართალდამცველები ძალიან მალე მის კართანაც მიაკაკუნებენ!!! მერე აბრალოს სხვებს მისი დანაშაული და ისროლოს ტალახი გერმანული საკნიდან!!!

გია აბაშიძე: ძებნილი ოლიგარქის დავით კეზერაშვილის „ცაზე ძალიან მოიღრუბლა“

ძებნილი ოლიგარქის, დავით კეზერაშვილის „ცაზე ძალიან მოიღრუბლა“. მის ურეიტინგო ტელეარხ „ფორმულას“ ვეღარ დააფინანსებს შავი ფულით. საქართველოს პროკურატურამ, შვიდი ქვეყნის წარმომადგენლების ჩართულობით, სამი ქვეყნის ტერიტორიაზე ე.წ. „ქოლცენტრებთან“ დაკავშირებით ტრანსნაციონალური დანაშაული გამოავლინა.

მალე ქართველი და ევროპელი პროკურორები ბრალს საერთაშორისო მასშტაბის თაღლითს დ. კეზერაშვილს წაუყენებენ. საინტერესოა, მის ჯიბეზე ჩამოკიდებული რადიკალი ოპოზიციონერები რას მოიმოქმედებენ?..

დიდი ამერიკის ელჩია თუ...დასავლური ღირებულებების დამსამარებელი?!

ძალბატონი კელი დეგნანი, რომელიც უცერემონიოდ და უხეშად ერევა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, თვლის, რომ აშშ-ის საელჩო უფრო მაღლა დგას, ვიდრე ძვეყნის ხელისუფლება და სასამართლო სისტემა, რომლის გადაწყვეტილებებს სისტემატურად არაობიექტურად აკრიტიკებს.

კელი დეგნანი აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს დამაქცევარ „ნაციონალურ მოძრაობას“ და „ტროიკის“ უგუნურ პოზიციას! ნუთუ არც მას და არც ყოფილ ელჩს იან კელის, რომელიც პერიოდულად თითს გვიქნევს და გვმოძღვრავს აშშ-დან, არაფერი სმენია „7 ნოემბრის“, „26 მაისის“, ტელეკომპანია „იმედის“, გამომცემლობა „სამშობლოს“, ეკლესია-მონასტრების, მათი მრევლის უსასტიკეს სისხლიან დარბევებზე? უწმინდესისა და უნეტარესის და სინოდის გაუგონარ შეურაცხყოფაზე, გადავსებულ ციხეებზე, პატიმართა წამებაზე, ტანჯვასა და გაუპატიურებაზე, უდანაშაულო ადამიანების ქუჩებში დახვრეტაზე, ჭკუასუსტი სააკაშვილის მიერ აფხაზეთის, სამაჩაბლოს და ზემო სვანეთის დაკარგვაზე, უძრავი ქონების და ბიზნესების ყაჩაღურად წართმევაზე, ფინანსურ თაღლითობებზე, იარაღით ვაჭრობასა და სხვა მრავალ უტიფრობაზე...

ნაციონალების მიერ ჩადენილი დანაშაულების ჩამოთვლა შეუძლებელია. ყველა ეს უმძიმესი დანაშაული ჩადენილია უბოროტესი სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს და მისი უშუალო ხელმძღვანელობით!

აი, ასეთ ეპოქალურ დამნაშავეს, კორუმპირებულ არასამთავრობოებს და ცრუ ტელევიზიებს ექომაგება ქალბატონი კელი დეგნანი!

ის „ხალხის ხმის“ ობიექტურ, სამართლიან და გონივრულ წინადადებებს იქედნურად და შეურაცხმყოფელად მოიხსენიებს ან საერთოდ უგულებელყოფს და მათ კითხვებს პასუხის ღირსადაც არ თვლის! არადა, ისინი საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის ჯანსაღ აზრს გამოხატავენ.

ელჩი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საქართველო რუსეთთან ომში ჩაითრიოს! კრინტს არ ძრავს უკრაინის ხელისუფლების უმადურობასა და შეურაცხყოფაზე საქართველოს ხელისუფლებისა და ხალხის მიმართ...

ჩემი აზრით, უნდა ეთხოვოს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს, გაითხოვონ ჩვენდამი მტრულად განწყობილი ქალბატონი კელი დეგნანი საქართველოდან. დარწმუნებული ვარ, ეს საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობის სურვილიცაა.

ომარ მარგველაშვილი

რამაზ საყვარელიძე:

ეს ანგარიში საქართველოს ფეხებზე დაკიდებაა!

47 მუმხრე, 5 მოწინააღმდეგე, 2-მა თავი შეიკავა — ევროპარლამენტის საგარეო კომიტეტმა საქართველოს მიერ ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებულ ანგარიშს შესწორებებით მხარი დაუჭირა. მხარდაჭერილია ის შესწორებაც, რომელშიც მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზეა საუბარი. ასევე ხაზგასამულია, რომ უნდა გადაიხედოს ნიკა გვარამიას საქმე.

ტექსტში რამდენიმე ცვლილებაა შესული. კერძოდ, ევროპარლამენტარებმა **ანა ფოტიგამ, იაცეკ სარიუშ-ვოლსკიმ** და **ასიტა კანკომ** ევროპარლამენტის რეზოლუციაში მოამზადეს შესწორება, სადაც გამოხატულია შეშფოთება არსებულ ცნობებთან დაკავშირებით, რომ „რუსი ხალხი და ორგანიზაციები, სავარაუდოდ, იყენებენ საქართველოს დასავლეთის სანქციების გვერდის ავლისთვის“. ამავე ევროპარლამენტარების მიერ მომზადებულ კიდევ ერთ ცვლილებაში აღნიშნულია, რომ აუცილებელია ოლიგარქ **ბიძინა ივანიშვილის** გადაჭარბებული გავლენის აღმოფხვრა. ამასთან, ევროპარლამენტარები ხელისუფლებას მიხეილ სააკაშვილის ჰუმანიტარული ნიშნით გათავისუფლებისკენ მოუწოდებენ.

შესწორებების ახალ ვარიანტში გამოთქმულია წუხილი, რომ ღრმა პოლარიზაცია კვლავ რჩება საქართველოს პოლიტიკური გარემოს განმსაზღვრელ მახასიათებლად; შესწორებები შეიცავს მოწოდებას ყველა დაინტერესებული პოლიტიკური მხარისადმი, თავი შეიკავონ ყოველგვარი გამყოფი და აგრესიული რიტორიკისაგან, გააერთიანონ თავიანთი ძალები, რათა საფრთხე არ შეუქმნან საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მთავარ მიზანს ამბიციური დემოკრატიული, სასამართლო და ანტიკორუფციული რეფორმების განხორციელების გზით.

შესწორებებში ასევე „გამოთქმულია წუხილი 19 აპრილის შეთანხმებიდან მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ გასვლაზე და მოუწოდებს ყველა პოლიტიკურ ძალას, შეასრულონ შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებები. ამასთან, შესწორებებში აღნიშნულია, რომ „სასამართლოს გადაწყვეტილება პარტია „ლელო საქართველოსთვის“ ლიდერების, **მამუკა ხაზარაძისა** და **ბადრი ჯაფარიძის** გასამართლების შესახებ და ჩაწერილია, რომ სასამართლოს განაჩენის გამოყენება ჯაფარიძისთვის საპარლამენტო მანდატის ჩამორთმევის მიზნით, არის პოლიტიზებული მართლმსაჯულების საქმის აშკარა დემონსტრირება.

რაც შეეხება დეოლიგარქიზაციის საკითხს, ახალ შესწორებებში საუბარია, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კერძო ინტერესების გადაჭარბებული გავლენის აღმოფხვრის აუცილებლობაზე, როგორც კომისიის მიერ განსაზღვრული ერთ-ერთი პრიორიტეტი, რომლის გადაწყვეტა აუცილებელია საქართველოს კანდიდატის სტატუსის მინიჭებამდე; რეკომენდაციაში ნათქვამია, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის გადაჭარბებული გავლენა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში სტრუქტურული და მარეგულირებელი რეფორმების სისტემური გზით.

საქართველოს საკითხზე მომხსენებელმა ევროპარლამენტარმა **სვენ მიქსერმა** აღნიშნა, რომ ანგარიშთან დაკავშირებით ევროპარლამენტში მხარეებს შორის მოლაპარაკების პროცესი რთული იყო, თუმცა მხარეებმა კომპრომისის მიღწევა შეძლეს.

„ეს იყო მოლაპარაკებების რთული პროცესი. მინდა მასში ჩართულ ყველა მხარეს მადლობა გადავუხადო. ჩვენ საბოლოოდ შევძელით კომპრომისის მიღწევა. ჩვენ მხარდაჭერას გამოვხატავთ საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ, რომელსაც ევროკავშირთან ინტეგრაცია სურს. ევროპარლამენტში ჩვენ ასევე განვიხილეთ ის, თუ რა უნდა გააკეთოს საქართველოს მთავრობამ. ჩვენ გვქონდა სამართლიანი კრიტიკა საქართველოს ხელისუფლების მიმართ“, — განაცხადა **სვენ მიქსერმა**.

მიუხედავად ანგარიშისა, ევროპარლამენტარი ვიოლა ფონ კრამონი აცხადებს, რომ ევროპარლამენტი ერთიანია საქართველოსთან დაკავშირებით. მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილის გავლენები ქართულ პოლიტიკაზე აშკარაა, რაც არ შეცვლილა.

„მოხარული ვართ, რომ რეზოლუცია აბსოლუტური უმრავლესობით მივიღეთ. საბოლოო კენჭისყრამ ნათელი გახადა, რომ ევროპარლამენტი ერთიანია იმის თაობაზე, თუ როგორ ვუპასუხოთ საქართველოს საკითხს. ტექსტში გამოყენებული იყო კრიტიკული ენა, მე არ ვიყავი თანამომხსენებელი, თუმცა ძირითადი საკითხები ამ რეზოლუციაში იყო ძალიან მკაფიო. ბიძინა ივანიშვილის გავლენები ქართულ პოლიტიკაზე აშკარაა. ჩვენ ეს საკითხი ბევრჯერ განგვიხილავს სხვა ინსტიტუციებთან ერთად, მათ შორის ევროპარლამენტის ყოველწლიურ ანგარიშშიც და მას შემდეგ, ვფიქრობ, არაფერი შეცვლილა“, — აცხადებს **ვიოლა ფონ კრამონი**.

> „ევროპა უკრაინაში მილიარდებს ხარჯავს და საქართველოს კი წირავს ისე, რომ მერე მას რომ დასჭირდება საქართველო როგორც გზა და ჭიშკარი, მოტრიალდება და გეტყვის — შემეშალაო“!..

* * *

ევროპარლამენტარების ფორმულირებას არ იზიარებს პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე**, რომლის განცხადებით, 2012 წლამდე კრიტიკული დამოკიდებულება არ ჰქონდათ ქვეყნის მიმართ და ძალიან აკმაყოფილებდათ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება. როგორც პოლიტოლოგი აცხადებს, სააკაშვილის ხელისუფლებაში ვერც ოლიგარქებს ხედავდნენ, ვერც ძალადობას და ვერც მედიის შევიწროებას.

„მე ვერ ვიტყვი რა ხიდებია გაბმული ამ 12-კაციან ჯგუფსა და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის, მაგრამ აქ კიდევ ერთი უბედურებაა, ის ჯგუფი აკეთებს საკმაოდ არაკვალიფიციურ და პოლიტიკურად მათთვის აბსოლუტრად წამგებიან შესწორებებს და დანარჩენი ამ პარლამენტის 700-ზე მეტი წევრი მხარს უჭერს ამას. აი, ეს დეპოლიტიზაცია და დეინტელექტუალიზაცია არის გულდასაწყვეტი. იმ მხრივ, რომ მათი მხრიდან კოლექტიური ინტელექტის და სწორი გადაწყვეტილების მიღების იმედი არ უნდა გქონდეს.

ასეთი პერსონალურად მოხსენიება ივანიშვილის, ასეთი ჯიუტად წასვლა ქართველი ხალხის ნების წინააღმდეგ და ყველაფრის გაკეთება იმისთვის, რომ საქართველოში დაიწყოს არეულობა, რისთვისაც ეს კეთდება, თუ ვერ ხვდებიან რა შედეგი მოჰყვება მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ეს კიდევ უარესია. მიზანი არის ქვეყანაში უმართავი პროცესები. არეულება რომ დაიწყება მოგებული დარჩება რუსეთი. გამოდის, რომ ეს უაზრო ადამიანები რუსებზე მუშაობენ“, — აცხადებს **რამაზ საყვარელიძე**.

პოლიტოლოგის შეფასებით, თუკი გაურთულებენ საქართველოს გზას ევროპისკენ, ამით რუსეთი დარჩება მოგებული ტრანზიტებისა და თავისთავად საქართველოს მიმართ მიდგომის ფონზე, რაც დღეს აქტუალურია. როგორც საყვარელიძე აცხადებს, დასავლეთის ასეთი პოლიტიკა ზრდის ნიჰილიზმს და აძლიერებს ანტიდასავლურ განწყობას საქართველოს მოსახლეობაში.

„ვიძახოთ ჩვენ ევროპა და ამ დროს ევროპამ რუსეთისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღოს, აი, ასეთ პარადოქსულ სიტუაციაში ვართ. სამომავლო პესპექტივებშიც დამღუპველია ნიჰილიზმი ევროპის მიმართ. ჩვენი ერთადერთი მოკავშირე არის ევროპა, საფრთხე გვემუქრება რუსეთიდან, ასევე საფრთხე შეიძლება გაჩნდეს ისლამური სახელმწიფოსგან, მათ შორის ჩინეთიდან. ამ საფრთხეებს ასევე ებრძვის ევროპაც, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი და ევროპის ინტერესები ბუნებრივ თანხვედრაშია. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ევროპასთან მჭიდრო ურთიერთობა. ჩვენ და ევროპას ერთდროულად გაგვიჭირდება, თუ რამე გაგვიჭირდება, მაგრამ ევროპა ვერ ხვდება ამას — ინტელექტუალური პრობლემა დგას. ისევ დაუნახავი, ისევ მოკლევადიანი ხედვისა და ისევ რუსეთის ხელშეწყობის პოლიტიკისა.

ეს ევროპა უკრაინაში მილიარდებს ხარჯავს და საქართველოს კი წირავს ისე, რომ მერე მას რომ დასჭირდება საქართველო როგორც გზა და ჭიშკარი, მოტრიალდება და გეტყვის — შემეშალაო. რატომ შეეშალა ამას ალარ კითხულობს. 2008 წელს რატომ გაატარა 5-დღიანი ომი?! 90-იანებში რატომ არ მიაქცია ყურადღება იმას, რომ აფხაზეთი და ოსეთი იკარგებოდა რუსეთთან ომში?! ამ კითხვებზე რატომ არ პასუხობს ევროპა და ისეთივე შეცდომას რატომ იმეორებს ახლა ამ განცხადებებით, რაც მაშინ დაუშვა ჩვენი მდგომარეობის ფეხებზე დაკიდებით?! ახლაც, ეს ანგარიში ქართველების ფეხებზე დაკიდებაა და მეტი არაფერი“, — დასძინა რამაზ საყვარელიძემ.

თამთა ქარჩავა

კნავილი ფანჩატურიდან/განსჯა

გავიხსენოთ პარლამენტიდან გასული პოლიტიკოსები, რითი დაასრულეს კარიერა? საერთოდ დაიკარგნენ, ხალხმა დაივიწყა...

მთლად დაკარგულები...

შალიკოს ფანჩატური მზადაა, უკან მიიღოს ძენი და ასულნი შეცდენილნი. ოპოზიციაში პარლამენტის დატოვებას განიხილავენ, მაგრამ პარლამენტის დატოვების „ა“ გეგმის შემდეგ რა ეძნებათ„ბ“ გეგმა, ეს არ იციან.

ოპოზიცია თავის ქმედებებში არათანმიმდევრულია. თავის დროზე, როცა ხელი მოაწერეს შარლ მიშელის დოკუმენტს, ოპოზიციამ გადაწყვიტა საპარლამენტო მუშაობაში ჩართვა და ამით პოლიტიკური კრიზისის გადალახვა. დღეს კი არც შარლ მიშელის დოკუმენტი ახსოვთ, არც საკუთარი ელექტორატის წინაშე აღებული ვალდებულება, რომელმაც ოპოზიციას პარლამენტში მუშაობა და არა პარლამენტიდან გაქცევა დაავალა, არც საერთაშორისო პარტნიორების მოწოდებები, რომლებმაც დეპუტატებს პარლამენტში შესვლისკენ მოუწოდეს.

დღეს ოპოზიციის ნაწილი თვლის, რომ შეცდომა იყო შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელმოწერა და არსებულ პირობებზე დათანხმება. „ევროპული საქართველოს“ წარმოადგენელი ოთარ კახიძე ფიქრობს, რომ ოპოზიცია პოლიტიკურად გაანადგურეს, ძალიან მძიმე ვითარებაში ჩააგდეს და ახლა პარლამენტიდან ოპოზიციის გასვლასაც აღარ ექნება ფასი.

ზურა გირჩი ჯაფარიძე ამბობს, რომ „პარლამენტი არის შაპიტო, მანდ არაფერზე არ უნდა მიხვიდე“.

„ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი აკაკი მინაშვილი პარლამენტის დატოვების საჭიროებას რაღაც მომენტში ხედავს, მაგრამ ეს უნდა მოხდეს მაშინ, როცა სიტუაციის გარდატეხას მოიტანს.

ნიკა მელია ფიქრობს, რომ „ნაცმოძრაობამ“ პარლამენტი თუ უნდა დატოვოს, დატოვოს მაშინ, როდესაც გარდაუვალ კრიზისს შეუქმნის რეჟიმს, რომ ქვეყანა ჩიხიდან გამოვიდეს.

გიორგი ვაშაძის „სტრატეგია აღმაშენებელი“ მზადაა, პარლამენტი დატოვოს, რადგან „პრორუსებთან ყოფნა აუტანელია“, თუმცა ეს პროცესი არ უნდა იყოს ნაადრევი.

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** მიიჩნევს, რომ პარლამენტის დატოვება გამოსავალი არსად არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს. პოლიტოლოგი აცხადებს, რომ პარლამენტის დატოვების შემდეგ სხვა სტრატეგია უნდა ჰქონდეს ოპოზიციას. ამ ჩვენი ოპოზიციის შემხედვარე კი რომელ სტრატეგიაზეა საუბარი, პარტიზანულ ომს იწყებენ, თუ რა არის?

„ჩვენ გვახსოვს შალიკოს ფანჩატური, მაგრამ რა მოგვცა იმ ფანჩატურმა? არაფერი. ამიტომ პარლამენტის დატოვება გამორიცხულია. პარლამენტი მაინც ტრიბუნაა, შენ თუ გადადიხარ უსისტემო, არასისტემურ ოპოზიციაში, ეს არის მარგინალიზაციისკენ მიმავალი ყველაზე მოკლე გზა. გავიხსენოთ პარლამენტიდან გასული პოლიტიკოსები, ბევრი პოლიტიკოსი გავიდა ჩვენი პარლამენტიდან და ცალკე დაიწყო მოღვაწეობა, ბესო ჯუღელიდან დაწყებული, სხვებით დამთავრებული, მაგრამ რითი დაასრულეს კარიერა? საერთოდ დაიკარგნენ. ელექტორატმა დაივიწყა, ხალხმა დაივიწყა, მორჩა და დამთავრდა. ასე თუ ისე, დღევანდელ ოპოზიციონრებს პარლამენტში ტრიბუნა მაინც აქვთ, — აცხადებს სოსო ცინცაძე და იმ მოტივზეც საუბრობს, რაც პარლამენტის დატოვების მოსურნე დეპუტატებს ამოძრავებთ“.

პოლიტოლოგის აზრით, გიორგი ვაშაძეს იმიტომ სურს პარლამენტის დატოვება, რომ გაერთიანება სწადია ძლიერ პარტიასთან, მაგრამ არ უნდა გაერთიანება მელიას და ძალად როგორ გაერთიანდებიან?!

პოლიტოლოგი იხსენებს, რომ კვაზი გაერთიანება იყო წინა არჩევნებზე, როდესაც 2-კაციანი პარტიის ლიდერი სიაში ჩაწერეს და გახდა პარლამენტარი, მაგრამ როდესაც ძლიერთან ერთიანდები, ის ძლიერი ყოველთვის ფიქრობს, შენ რა მოგაქვს საერთო ყულაბაში, ელექტორატის რამდენი ათასი ხმა მოგაქვს?! შენ თუ ნული ან ერთი პროცენტი გაქვს და არაფერი არ მოგაქვს საერთო ყულაბაში, კი ბატონო, მარტო ერთ კაცს ჩაწერენ სიაში და მეტს არა.

„გიორგი ვაშაძემ რამდენიმე კაცი გაიყვანა პარლამენტში, „გირჩმაც“ კიდევ რამდენიმე, მაგრამ არის „ნაციონალების“ სიით გასული 4-ნ კაცი, ერთი ქალბატონიც, რომლებიც არავის არ წარმოადგენენ, რომლებსაც ელექტორატი არ ჰყავს და რა ჯანდაბად უნდა მელიას მკვდარი სულები?! ამიტომ ოპოზიციას სტრატეგია უნდა ჰქონდეს, რას აკეთებენ პარლამენტიდან გამოსვლის შემდეგ, ქუჩაში გამოიყვანენ ასი ათას კაცს? ვერ გამოიყვანენ. საერთოდ ვერაფერი გავიგე ამ ჩვენი ოპოზიციის, კრეატიული, ინტელექტუალური რესურსის ასეთი დეფიციტი წარმოუდგენელია“, — გვითხრა სოსო ცინცაძემ.

მანანა ნოზაძე

NDI-ს: „ყური მივუგდოთ მარგარეტ ტეტჩერს!“

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა აზრის შემცვლელი არ არის

ჰენრი კისინჯერმა თქვა ერთხელ: **„ლიდერები პასუხისმგებელნი არიან არა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ჩატარებაზე, არამედ მათი ძმედებების შედეგებზე.“ არადა, პოლიტიკური ლიდერები აქტიურად ცდილობენ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებით საზოგადოების წევრების განწყობებით მანიპულირებას. საქართველო ამ მხრივ არ წარმოადგენს გამონაკლისს.**

ჩვენს ქვეყანაში ამ თვალსაზრისით, მართლაც უნიკალური ვითარება შეიქმნა. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები საქართველოში უკვე წლებია პრაქტიკულად მონოპოლიზებული აქვთ ამერიკულ ორგანიზაციებს და მათ ადგილობრივ კონტრაქტორებს, რომლებიც საერთაშორისო დონორების მიერ ფინანსდებიან. ადგილობრივი ბიუჯეტიდან სახელმწიფოს მიერ სოციოლოგიური გამოკითხვების დაფინანსება პრაქტიკულად არ ხდება. შესაბამისად, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ არსებული გამოკითხვები სოციოლოგიის გარდა, მათი სპონსორების ინტერესებსაც ემსახურება ქვეყანაში შესაბამისი პოლიტიკური და სოციალური კონიუნქტურის შესაქმნელად.

დღეს ჩვენთვის ცენტრალური თემა —ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღება და ამისათვის ევროკომისიის 12 რეკომენდაციის შესრულებაა. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხვებზე დაყრდნობით, საქართველოში მყარად დამკვიდრდა ნარატივი, რომ ევროინტეგრაცია საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის მყარი არჩევანია. თუმცა, რამდენად შეესაბამება ეს ჭეშმარიტებას, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში ქვეყანაში მომხდარი ცნობილი მოვლენების ფონზე.

2022 წლის ივლის-აგვისტოს, NDI-ს მიერ საზოგადოების აზრის გამოკითხვაში, ნაჩვენებია, რომ **საქართველოს მოსახლეობის მიერ ევროკავშირის მხარდაჭერა შეადგენს 75%-ს მართალია ეს 5-7% ნაკლებია წინა თვეების შედეგებთან (80-8—%) შედარებით, მაგრამ მაინც შთამბეჭდავი უმრავლესობაა. თუმცა, ნუ ვიჩქარებთ საბოლოო დასკვნებს.**

თუ რომელიმე გაერთიანებაში წევრობას ესწრაფვი, მის მიმართ ძალიან დადებითი დამოკიდებულება უნდა გქონდეს. ამ დროს ევროპის ფონდის 2021 წელს ჩატარებულ სოციოლოგიური კვლევაში, ვკითხულობთ: **„ჯამში, ქართველების 46%-ს აქვს ან ძალიან დადებითი (16%), ან უფრო დადებითი, ვიდრე უარყოფითი (30%) დამოკიდებულება ევროკავშირის მიმართ. დაახლოებით 43%-ს ნეიტრალური შეხედულება აქვს ევროკავშირის მიმართ, ხოლო უმცირესობას (7%) —უფრო უარყოფითი, ვიდრე დადებითი, ან ძალიან უარყოფითი.“ გამოდის რომ ჩვენი მოსახლეობის, მხოლოდ 46%-ს, ანუ ნახევარზე ნაკლები(!), უჭერს გაცნობიერებულად მხარს ევროკავშირს.**

საქმე კი ისაა, რომ **დასავლელი დონორების დასპონსორებულ გამოკითხვებში, აშკარად იკითხება მცდელობა, რომ არცერთ მომენტში ეჭვის ქვეშ არ დადგეს საქართველოს მოსახლეობის პროევროპული ორიენტაცია, რაშიც მათ ინვესტიციები ჩადეს. ამიტომაც არასასურველი სურათის მიღების შემთხვევაშიც კი, ისე, რომ პროფესიული სტანდარტები ძალიან არ დაარღვიონ, ცდილობენ ამ სურათის მოდელირებას. ცალკეული ბლოკების სათაურებში პოლიტიკური გზავნილებიც იკითხება. მაგალითად, პროევროპული მესიჯის გასაძლიერებლად NDI ამბობს, „უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ საქართველო ევროპული და ევრო -ატლანტიკური ინტეგრაციით მეტ სარგებელს მიიღებს, ვიდრე რუსეთთან ახლო ურთიერთობით.“ როგორ გაზომა და დაადგინა NDI-მ გამოკითხულთა „დარწმუნებულობის“ ხარისხი, როდესაც მის გამოკითხვაში ევროინტეგრაციაზე მხოლოდ ერთი კითხვაა დასმული და ის არ ცდილობს დაადგინოს თუ სინამდვილეში რა დგას რესპონდენტის „დიახ“-ს ან „არას“ უკან.**

ძალიან საინტერესოა, **ევროპის ფონდის გამოკითხვაში, როგორ მოდის თანხმობაში ევროკავშირის მოყვარულთა 46%-იანი მაჩვენებელი ევროკავშირში გაწევრიანების მომხრეთა 77%-იან მაჩვენებელთან? პასუხის ერთ-ერთი ყველაზე რეალური ვარიანტია ევროკავშირთან მომხმარებლური დამოკიდებულება და არა ღირებულებითი ერთობა. ამ ერთობის არსებობის შემთხვევაში, არ იქნებოდა არც თბილისის ცენტრში ლგბტ-მარშის ჩატარების პრობლემა და არც ერთნაირსქესიანთა ქორწინების ისეთი მძაფრი მიუღებლობა, რომ კონსტიტუციაში გახდა აუცილებელი შესაბამისი ჩანაწერი. მაგალითების გაგრძელება კიდევ შეიძლება.**

ამას გარდა, **გამოკითხვების მონაცემებს სერიოზულად ამახინჯებს თავად რესპოდენტთა ე.წ. „თვითშერჩევის“ ან „თვითცენზურის“ ეფექტი, როდესაც გამოკითხულთა გარკვეული პროცენტი სტაბილურად უარს ამბობს გამოკითხვაში მონაწილეობაზე, ან არ აფიქსირებს პასუხს. კიდევ უფრო პრობლემატურია, ე.წ. „პრეფერენციების ფალსიფიკაცია“ —სიტუაცია, როდესაც პირდაპირ დასმულ კითხვაზე გულახდილი პასუხის ნაცვლად, რესპონდენტი იძლევა პასუხს, რომელსაც მისგან ელოდება წარმოსახვითი უმრავლესობა. აქედან გამომდინარე, არ უნდა გაგვიკვირდეს აღნიშნული გამოკითხვების დროს ევროინტეგრაციის მხარდაჭერის პირდაპირ დასმულ კითხვაზე ბევრი „დიახ“. ზემოაღნიშნული მიზეზების გარდა, ეს ასევე შეიძლება აიხსნას რესპონდენტის მხრიდან როგორც ფსიქოლოგიური კომფორტის სურვილით, ასევე კონფორმისტული ქცევით და სოციალური დაგმობის შიშითაც. თუ ჩვენთან შექმნილ საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ გარემოს და წნეხს გავითვალისწინებთ, მეინსტრიმული აზრისგან განსხვავებული ხედვა, ლამის სახელმწიფოს ღალატად და დანაშაულად ითვლება. გამოდის, რომ ჩატარებული გამოკითხვები ფაქტიურად ზომავენ არა რესპონდენტის ჭეშმარიტ დამოკიდებულებას კონკრეტული საკითხის მიმართ, არამედ მხოლოდ მის სოციალურად და პოლიტიკურად მისაღებ პოზიციას.**

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გარემოების გათვალისწინებით, **რთული გამოსაცნობი არ არის, თუ როგორ დგება ევროინტეგრაციის მხარდაჭერის 81-83%-ანი მაჩვენებელი, ან რომელიმე უსახური, მაგრამ დამკვეთისთვის მისაღები პერსონის უჩვეულოდ მაღალი რეიტინგი. ეს ყოველივე პოლიტიკური და ფსიქოლოგიური მანიპულაციების ინსტრუმენტებია, და როგორც ჩანს ჩვენი პოლიტიკური კლასიც და საზოგადოებაც შეეგუენ ამ მოდელირებულ რეალობას.**

მდგომარეობა არ შეიცვლება ვიდრე სახელმწიფო ამ საკითხის მიმართ საკუთარ დამოკიდებულებას არ შეცვლის და ქვეყანაში საზოგადოებრივი აზრის კვლევის ეროვნულ ინსტიტუციებს არ შექმნის. მდგომარეობა ასევე არ შეიცვლება, თუ თავად გამოკითხვების, მათი დამკვეთების, ჩამტარებლების და შედეგების მიმართ ნდობა არ გაიზომება. ეპიზოდური კვლევები ამ საკითხზე არაა საკმარისი და ამინდს ვერ ცვლის.

ზოგადად, გამოკითხვების მნიშვნელობა ყველაზე ზუსტად ალბათ მარგარეტ ტეტჩერმა შეაფასა: **„თუ თქვენ ხელმძღვანელობთ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვით, თქვენ არ ახორციელებთ ლიდერობას — თქვენ ახორციელებთ მიმდევრობას“.**

ზაალ ანჯაფარიძე

© ბორიტი ჟრიამული

აგრესიული სიჩლუნგე

დიახ, სხვა არაფერია, თუ არა, სწორედაც, რომ აგრესიული სიჩლუნგე, როცა სიცრუისა და სიძულვილის შეზავებული ტირაჟირებით, გამოხატვის თავისუფლებაზე აპელირებით, არაფრად ჩააგდო რეალობა და გინდა საზოგადოებას შთააგონო, რომ უანგარო ქველმოქმედი ოლიგარქია.

ოლიგარქად ბიძინა ივანიშვილის გამოცხადების სამარცხვინო მცდელობასთან დაკავშირებით მოგახსენებთ...

ოპოზიციისთვის აუტანელია, რომ ბიძინა ივანიშვილი, არ არის ხელისუფლებაში, თუმცაღა, თავის, საქმით და სახელით, პატრიოტიზმით, ქველმოქმედებით, არის საქართველოში მშვიდობისა და დემოკრატიის გარანტი. ყველამ კარგად იცის, რომ ამ ადამიანმა მიწიერი ჯოჯოხეთიდან გამოიყვანა ქვეყანა, ოჯახით და შესაძლებლობებით დგას მის სამსახურში და ამიტომაც საზოგადოება ვერასდროს შეურიგდება უმადურობის პროპაგანდას. ხომ უნდა დავფიქრდეთ ნეგატიურ შედეგზეც, რასაც სიკეთის დაუნახაობა და უმადურობა მოუტანს ქვეყანას. ბატონი ბიძინას სულგრძელობის დასტურია ისიც, რომ ისეთი უმადურებისადმიც არ იცვლის დამოკიდებულებას, რომლებიც მისი მატერიალური შემწეობით არსებობენ.

მკრეხელობაა, როცა არ გინდა დაინახო იმ ადამიანის სიკეთე, რომელიც მილიარდებს ახმარს თავისი ქვეყნის გაძლიერებას და ამ დროს არაადამიანურმა თუ პარტიულმა ინტერესებმა გაიძულოს, ღვთისგან ნაბოძებ საჩუქარს უწოდო ოლიგარქი, მაშინ, როცა თავად არიან ნამდვილი ოლიგარქისგან გაქსუებულ-წაქეზებული. უსინდისო მუცლითმეზღაპრეებს უცხოეთიდანაც აქვთ მზაკვრული მხარდაჭერა „ავლენიანი“ პოლიტიკოსებისგან თუ ორგანიზაციებისგან და ცდილობენ ერთიანი ძალით წააქეზონ, გამოიწვიონ პროტესტი გაუთვითცნობიერებელ ხალხში.

არის, სადმე თუნდაც ერთი მაგალითი, რომ საქართველოს გარეთ ნაშოვნი ფული ვინმემ თავის ქვეყნის და ხალხის კეთილდღეობას მოახმარა? პირიქით, კი ბატონო, ხელისუფლებაში ყოფნისას გაუძარცვავთ საკუთარი ქვეყანა და თავი შეუფარებიათ უცხოეთისთვის.

ცხადია, საქართველოში არის პრობლემები, რომელსაც ხედავს და აანალიზებს ხელისუფლება, ოპოზიციის მცდელობა კი, ყველაფერი ნეგატიური დაუკავშიროს მათ მიერვე ოლიგარქად შერაცხილ ბიძინა ივანიშვილს, ეტაპობრივად მარცხისთვისაა განწირული.

ერთხელაც ვიტყვი: უმადურობა ადამიანების ყველაზე უღირსი საქციელია!

აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანს „იერგარდის“ გამგეობის სახელით,

გურამ სალარაძე.
თავმჯდომარე

ქართველი მინისტრი სამუშაო ვიზიტით შვეიცარიას ეწვია

საქართველოს **განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი სამუშაო ვიზიტით შვეიცარიის კონფედერაციაში იმყოფება.**

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, მინისტრი ბერნის უნივერსიტეტში ქართველოლოგიის პროგრამის მიმდინარეობას პირადად გაეცნო და მის ფარგლებში, პროფესორ მანუელა შტუდერ-კარლენის ლექციას დაესწრო თემაზე — „შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება და ხუროთმოძღვრება“.

მინისტრმა სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ბერნის უნივერსიტეტში საქართველოს მდიდარი ისტორიის, მრავალფეროვანი, გამორჩეული კულტურისა და ხელოვნების შესახებ სასწავლო კურსის განხორციელების მნიშვნელობას. მიხეილ ჩხენკელის თქმით, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ქართველოლოგიის პროგრამის ფარგლებში ლექციებს კითხულობენ როგორც ქართველი, ასევე შვეიცარიელი, გერმანელი და ამერიკელი პროფესორები.

მინისტრმა პროექტის განხორციელებისთვის მადლობა გადაუხადა შვეიცარიის კონფედერაციაში საქართველოს საელჩოსა და ბერნისა და ფრიბურგის უნივერსიტეტებს.

ბერნის უნივერსიტეტში ქართველოლოგიის პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შვეიცარიაში საქართველოს საელჩოს, ბერნისა და ფრიბურგის უნივერსიტეტების ჰუმანიტარული ფაკულტეტების მხარდაჭერით ხორციელდება.

რატი ბრეგაძე: საქართველოში პოლიტპატიმრები არ გვყავს

„ცალკეულმა **პირებმა ყოველთვის შეიძლება გამოხატონ უნდობლობა ან გამოაცხადონ ნდობა გარკვეული გადაწყვეტილებების მიმართ, მაგრამ აქსიომაა, რომ სასამართლო ხელისუფლება არის დამოუკიდებელი და არავის აქვს უფლება, რომ შეიტანოს მის სისწორეში ეჭვი. არა აქვს მნიშვნელობა, ეს იქნება ბატონი ნიკოლოზ გვარამია თუ სხვა ადამიანი, მას როდესაც აქვს განაჩენი და არ მოსწონს ის, შეუძლია გაასაჩივროს. მას შემდეგ, რაც ამოიწურება შიდასახელმწიფოებრივი შესაძლებლობები, არსებობს სტრასბურგის სასამართლო, რომელსაც შეუძლია მიმართოს ნებისმიერმა ადამიანმა.**

მე არც ერთ სასამართლო გადაწყვეტილებაზე არასდროს გამიკეთებია პოლიტიკური შეფასება. ამისთვის არსებობს სასამართლოს ინსტანციები როგორც ადგილობრივი, ისე ევროპული. იმისთვის, რომ გახდეთ მოსამართლე, გჭირდებათ იურიდიული განათლება, შემდეგ საკმაოდ ხანგრძლივი პროცედურების გავლა — ევროპარლამენტარი არის პოლიტიკოსი და როდესაც პოლიტიკოსი აფასებს სასამართლოს გადაწყვეტილებას, მას სჭირდება ამისთვის საკმარისი საფუძველი.

პატივს ვცემ ჩემს პროფესიას და ძალიან მკაფიოდ ვიცი, რომ როდესაც ვინმე საუბრობს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, ამაზე საუბრის უფლება აქვს ზემდგომი ინსტანციის მოსამართლეს — შეაფასოს ეს გადაწყვეტილებები.

საქართველო ევროკავშირთან არის ისე ახლოს, როგორც არასდროს ყოფილა. მაგალითად, ადრე შეუძლებელი იყო უვიზო მიმოსვლით სარგებლობა, ახლა კი ეს ყველას შეუძლია. სწორედ „ქართული ოცნების“ პირობებში გახდა შესაძლებელი, რომ საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე წავიდეს და იმოგზაუროს ევროპაში ვიზის გარეშე. ამ ისტორიული ოცნების ასრულებასთან ვართ ძალიან ახლოს. მაქსიმუმს ვაკეთებთ და კიდევ უფრო მეტს ვიზამთ იმისთვის, რომ ქართველი ხალხის დაკვეთა, რომელიც ევროინტეგრაციას შეეხება, შესრულდეს“, — განაცხადა **რატი ბრეგაძემ.**

ქართველი პოლიტიკოსები ლონდონის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია დიდ ბრიტანეთში, ლონდონის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში WTM მონაწილეობს, რომელსაც თბილისის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე ლევან არველაძე და საკრებულოს წევრი ლევან აბაშიძე ესწრებიან.

მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ტურისტული გამოფენა 43-ე წელია იმართება. გამოფენა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სტუმარმასპინძლობის, ავიაციის, ტრანსპორტის, სამოგზაურო ტექნოლოგიებისა და სხვა სფეროს პროფესიონალებს მასპინძლობს.

აქ 5000-მდე კომპანიაა წარდგენილი. გამოფენას ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყნის 70-ზე მეტი ტურიზმის მინისტრი და ტურიზმის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ესწრება.

ლონდონის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად თბილისის მერია, დედაქალაქის საკრებულო, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ორგანიზაციაა წარმოდგენილი.

ნაცები თავმჯდომარის არჩევნებს ითხოვენ!..

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ირაკლი ნადირაძე ამავე პარტიის თავმჯდომარის ახალი არჩევნების ჩატარებას ითხოვს.

„ვითხოვთ, ჩატარდეს ყველა დონის არჩევნები, აირჩეს ახლიდან პოლიტიკური სამდივნო, პოლიტსაბჭო და რაც ყველაზე მთავარია, ჩატარდეს თავმჯდომარის ახალი არჩევნები, რადგან ვფიქრობთ, ენმის თავმჯდომარეს უნდა ჰქონდეს ასობით ათასი ამომრჩევლის ლეგიტიმაცია, რათა ახალი ენერგიით, გეგმით, ბრძოლისუნარიანობით ვიბრძოლოთ“, — აცხადებს ირაკლი ნადირაძე.

ამასთან, პარლამენტის ფრაქციის „ნაციონალური მოძრაობა — ძალა ერთობაშია“ წევრი, დავით კირკიტაძეც აცხადებს, რომ ყველაფერი არჩევნების გზით უნდა გადაწყდეს. კირკიტაძე ახალი თავმჯდომარის ასარჩევად შიდა არჩევნების ჩატარებას მიესალმება.

„ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ აბსოლუტურად ყველაფერი ამ ქვეყანაში, ელემენტარული, კრიზისიც კი უნდა გადაწყდეს არჩევნების გზით. ეს უნდა დავამკვიდროთ, არა მხოლოდ შიდა პარტიულ, არამედ ქვეყნის ცხოვრებაში. ჩვენ უნდა მივცეთ მაგალითი და მიგვიცია არა ერთი მაგალითი სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისთვის და ახლაც, არა მგონია ვინმე იყოს ამის წინააღმდეგი“, — დასძინა დავით კირკიტაძემ.

უკრაინაში დაზარალებულ ოჯახებს იმერეთი მასპინძლობს

იმერეთი **უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებებისას დაზარალებულთა ოჯახებიდან საქართველოში სტუმრად მყოფ ბავშვებს მშობლებთან ერთად მასპინძლობს.**

ადმინისტრაციის ცნობით, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე სტუმრებს შეხვდა და რეგიონის მასშტაბით დაგეგმილი ტურის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა.

„30-ზე მეტი უკრაინელი ომით დაზარალებული სტუმარი იმერეთის ისტორიულ, კულტურულ და ეთნოგრაფიულ თავისებურებებს გაეცნობიან. ტურის ფარგლებში ესტუმრებიან მოწამეთასა და გელათის მონასტრებს, პრომეთეს მღვიმეს და ბავშვებისთვის ჩატარდება იმერული კერძების მასტერკლასი.

საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის, ასევე ქალაქ ოდესაში გენერალური კონსულის თორნიკე ბერეკაშვილის ინიციატივით, საქართველო 30-ზე მეტ უკრაინელ, ომით დაზარალებულ სტუმარს მასპინძლობს. ბავშვები და მათი აღმზრდელები ირპენის, ბუჩის, ხერსონის, სამხრეთ ოდესის მკვიდრნი არიან. ათი დღის განმავლობაში უკრაინელი ბავშვები და მათი აღმზრდელები საქართველოს სხვადასხვა კუთხეს სტუმრობენ“, — ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

2023 წლიდან წამლები აუცილებლად გაიაფდება!

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, გუშინ მთავრობის სხდომა გაიმართა. მინისტრთა კაბინეტის წევრებმა 10 საკითხი განიხილეს.

განსახილველ საკითხთა შორის იყო ცვლილება საქართველოს კანონის პროექტში — „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ და მისგან გამომდინარე კანონპროექტები. კერძოდ, 2023 წლიდან, წამლებზე რეფერენტული ფასები დაწესდება — სახელმწიფო ღირებულების იმ მაქსიმალურ ზღვარს ადგენს, რომელზე ძვირადაც დაუშვებელი იქნება მედიკამენტის რეალიზაცია, რაც მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა. რეფორმის მიზანი ხარისხიანი მედიკამენტების ხელმისაწვდომობის გაზრდა, სამართლიანი ფასებისა და კონკურენტული და გამჭვირვალე ფარმაცევტული ბაზრის უზრუნველყოფაა. წინასწარი გათვლებით, რეფერენტული ფასების დაწესება, საშუალოდ, 40%-ით გააიაფებს წამლების ღირებულებას.

პირველ ეტაპზე, რეფერენტული ფასები, ქრონიკული დაავადებების სამკურნალო პრეპარატებზე დაწესდება, ეტაპობრივად კი ფასების რეგულირების მექანიზმი სხვა ჯგუფის მედიკამენტებზეც გავრცელდება.

აღსანიშნავია, რომ მთავრობის ინიციატივით, 2022 წლის მარტიდან, თურქეთის ფარმაცევტული ბაზარი გაიხსნა, რამაც 60-80%-ით შეამცირა საქართველოში მედიკამენტების ღირებულება. შედეგად, წლიურად, ქვეყნის 100 ათასამდე მოქალაქე, დაახლოებით, 200 მილიონ ლარამდე თანხას დაზოგავს, რეფერენტული ფასების დაწესება კი წამლების ხელმისაწვდომობას კიდევ უფრო გააუმჯობესებს.

აგრეთვე, განსახილველ საკითხთა შორის იყო ცვლილება 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში — „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“. კერძოდ, ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამაში ამოქმედდება ინსულტის შემდგომი რეაბილიტაციისა და თავისა და ზურგის ტვინის ტრავმული დაზიანების შედეგად განვითარებული მდგომარეობის რეაბილიტაციის პროგრამა, რაც პაციენტებს შესაძლებლობას მისცემს, დროულად დაიბრუნონ ფუნქციური უნარ-ჩვევები და თავიდან აიცილონ მძიმე შეზღუდვების ჩამოყალიბება. პროგრამა მოიცავს რეაბილიტაციის სრულ კურსს. ინსულტის, თავის და ზურგის ტვინის ტრავმის შემდგომი რეაბილიტაციის კომპონენტის 1 თვის ბიუჯეტი 919 250 ლარს შეადგენს. პროგრამების წლიური ბიუჯეტი კი 11 მილიონი ლარია.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლიდან, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბიუჯეტი, დაახლოებით, 770 მილიონი ლარით იზრდება, რაც უწყებას საშუალებას მისცემს გაზარდოს, როგორც საყოველთაო ჯანდაცვის, ისე — სხვა, მიზნობრივი პროგრამების დაფინანსება.

მეფე ერეკლე ქართულ მარკებზე

7 ნოემბერს, თელავში, მეფე ერეკლეს სასახლისა და ბატონის ციხე-გალავნის ტერიტორიაზე ტრადიციული სახალხო დღესასწაული „ერეკლეობა“ აღინიშნა, სადაც გაიმართა მარკის „მეფე ერეკლე II“ წარდგინება.

თელავში საიუბილეო ღონისძიებას „საქართველოს ფოსტის“ გენერალური დირექტორი ლევან ჩიკვაიძე, საქართველოს კულტურის მინისტრი თეა წულუკიანი, თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე, კახეთის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ალადაშვილი და სხვა ოფიციალური პირები ესწრებოდნენ.

საფოსტო გზავნილების განხორციელება 2022 წლის მიწურულს უკვე მეფე ერეკლე II მარკით არის შესაძლებელი. მარკა, რომელზეც გამოსახულია მეფე ერეკლე II, მიმოქცევაში შევა ნოემბერში და ხელმისაწვდომი იქნება „საქართველოს ფოსტის“ 81 სერვისცენტრში საქართველოს მასშტაბით. მარკის ავტორია ბაადურ ქობლიანიძე.

კეთილმოწყობილი ბინები, ქუჩები და „ხუთკუნჭულას“
სამაგალითო დირექტორი იაგო მაისურაძე

თბილისის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში, საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი კალოუბნის №18-ში განხორციელდება.

მისი თქმით, ამ კორპუსის მცხოვრებლებთან შეთანხმება მიღწეულია და საპროექტო კომპანიასთან ხელშეკრულებაც გაფორმდა.

„ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში, უკვე მეორე პროექტის განხორციელება იგეგმება, რომელიც პროექტირების ეტაპზეა. კალოუბნის №18-ში მდებარე კორპუსი უმძიმეს მდგომარეობაშია. დაახლოებით, 30 ოჯახი ცხოვრობს აქ და მათი მოთხოვნის საფუძველზე, დაიწყო გადაწყვეტილებების მიღება. მოსახლეობასთან შეთანხმება მიღწეულია. გაფორმებულია ხელშეკრულება საპროექტო კომპანიასთანაც, რომელიც დეტალურ პროექტირებას წლის ბოლომდე დაასრულებს“.

პროექტის დასრულების შემდეგ, მოსახლეობას გარემონტებული ფართები ჩაბარდება. თბილისის მერმა რაიონების გამგებლებს მსგავსი პრობლემის მქონე ოჯახების მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

„სამწუხაროდ, დედაქალაქში, დაახლოებით, 10 000 ავარიული შენობა-ნაგებობა გვაქვს, მაგრამ საზოგადოებას კონკრეტული პროგრამა წარვუდგინეთ, რომლის მიხედვითაც, მომდევნო წლების განმავლობაში ეს შენობები ჩანაცვლდება. გამგებლებს მოგიწოდებთ, მაქსიმალური მხარდაჭერა ოჯახებს, რომლებიც ანალოგიურ ვითარებაში იმყოფებიან.

გარდა ამისა, მთავრობის სხდომაზე აღინიშნა, რომ კოოპერატიული ბინათმშენებლობებით დაზარალებული ოჯახების ფართებით დასაკმაყოფილებლად, ინტერესთა გამოხატვა კიდევ ორ მისამართზე — აბაშვილის ქუჩის №3-სა და დიდ დიღომში, მუხათგვერდის ქუჩის მიმდებარედ გამოცხადდა.

თბილისის მერის თქმით, აღნიშნული ორი პროექტის ფარგლებში, საცხოვრებელი ფართებით დამატებით, 180-მდე ოჯახი დაკმაყოფილდება. ხუთი წლის განმავლობაში, თბილისის მერია 2 000-მდე ოჯახის პრობლემის მოგვარებას შეძლებს. თბილისის მერმა ასევე აღნიშნა, რომ საარჩევნო დაპირების შესაბამისად, მუნიციპალიტეტი საცხოვრებელი ფართებით კოოპერატიული ბინათმშენებლობებით დაზარალებულ ყველა ოჯახს დააკმაყოფილებს. მათ საკუთარი საცხოვრებელი ფართები გადაეცემათ“, — განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ქეთევან დედოფლის გამზირის რეაბილიტაციის ბოლო ეტაპის სამუშაოები კვირის ბოლომდე დასრულდება და გზის სავალი ნაწილი გაიხსნება. მისი თქმით, პროექტის ფარგლებში, ავლაბრის მოედნიდან ლეხ კაჩინსკის ქუჩამდე არსებულ საგზაო მონაკვეთს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა.

ავლაბრის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე ორი სკვერის რეაბილიტაციაც განხორციელდა.

„ერთადერთი რჩება ავლაბრის მეტროს ვესტიბიულის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც ძალიან აქტიურად მიმდინარეობს“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერის განცხადებით, საბურთალოს რაიონში, ადგილმონაცვლეობის შედეგად, რეკრეაციული სივრცე მოეწყობა. კერძოდ, სპორტის სასახლის მიმდებარედ, 1 700 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის მონაცვლეობა განხორციელდა, სადაც თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური შესაბამის სამუშაოებს შეასრულებს.

„დედაქალაქში რეკრეაციული სივრცეების მოწყობა ჩვენთვის მნიშვნელოვანი მიმართულებაა, მათ შორის, არსებულის განახლება და მოწესრიგება. ჩვენ არაერთი პროექტი განვახორციელეთ. იცით, სპორტის სასახლის ტერიტორია როგორ არასწორად არის განაშენიანებული, რა პრობლემებია, პირველ რიგში, იქ მცხოვრები ადამიანებისთვის. არასწორი ურბანული განვითარების შედეგად, რეკრეაციული სივრცეების ნაკლებობაა. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, სადაც შესაძლებელია გამოინახოს პატარა სკვერების მოსაწყობად. ბოლო წლების განმავლობაში, საბურთალოს რაიონის გამგეობამ ოთხი ასეთი პროექტი განახორციელა. ამჯერად, თბილისის მერიამ რესტორნების ქსელ „მაკდონალდსის“ მიმდებარედ, 1 700 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის მონაცვლეობა განახორციელა, რომელიც კერძო საკუთრებაში იყო. მოლაპარაკებების შედეგად, ტერიტორია მუნიციპალიტეტს დაუბრუნდა და კიდევ ერთი რეკრეაციული სივრცე მოეწყობა. ყველაფერი გაკეთდება, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს განტვირთვის და დასვენების საშუალება ჰქონდეთ. სამშენებლო სამუშაოების ღირებულება, დაახლოებით, 250 000 ლარს შეადგენს“, — განაცხადა კახა კალაძემ.

საუბრის დასასრულს, თბილისის მერმა საზოგადოებას უწყების კიდევ ერთი დამსახურებული თანამშრომელი — იაგო მაისურაძე წარუდგინა, რომელიც თბილისის №199 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორია.

დღეს მინდა საზოგადოებას გავაცნო იაგო მაისურაძე, რომელიც თბილისის №199 ბაგა-ბაღ „ხუთკუნჭულას“ დირექტორია. ის 2008 წლიდან უდგას სათავეში თბილისში ყველასთვის საყვარელ საბავშვო ბაღს, სადაც მისი დამსახურებით, პატარებისთვის ნამდვილი ზღაპრული სამყაროა შექმნილი. ბატონი იაგოს მონდომებით, ბაღში მოწყობილია წიგნის საკითხავი სივრცე, შესაბამისი ინვენტარითა და დეკორაციებით. ბაღს კი ხშირად ჰყავს წარმატებული ადამიანები სტუმრების სახით. მადლობა იაგოს გაწეული საქმიანობისთვის და დარწმუნებული ვარ, მომდევნო წლების განმავლობაში ბევრ საინტერესო პროექტს განახორციელებს ჩვენი შვილებისთვის. ჩვენი მხრიდან კი ყოველთვის იქნება მხარდაჭერა, თანადგომა და დაფასება, — განაცხადა დედაქალაქის მერმა.

მარნეულში „ჯავახიშვილობა 2022“ აღინიშნა

მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანიზებით, სოფელ წერაქვში ქართველი მწერლის, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის, მისეილ ჯავახიშვილის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

მწერლის მუზეუმის ეზოში, წარმოდგენილი იყო მე-20 საუკუნის დასაწყისის ამსახველი იმიტირებული ლიტერატურული სალონების დეკორაციები, ასევე სპექტაკლი „ფრაგმენტები ჯავახიშვილის ნაწარმოებებიდან“.

„ჯავახიშვილობა 2022“-ს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წევრები, ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები, ლიტერატურის მუზეუმის წარმომადგენლები,

მწერალთა კავშირის წევრები და მისეილ ჯავახიშვილის შთამომავლები ესწრებოდნენ. გაიხსენეს მისი შემოქმედება და მწერლის ძეგლი ყვავილებით შეამკეს.

ზუგდიდში ოთხი საბავშვო ბაღი შენდება

რუხში, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი რუხში, 100 ბავშვზე გათვლილ საბავშვო ბაღს აშენებს.

რუხში მიმდინარე სამუშაოებს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი მამუკა წოწერია, მოადგილესთან ბესიკ ჭეჟიასთან და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო. როგორც მამუკა წოწერიამ აღნიშნა, საბავშვო ბაღებში ინფრასტრუქტურის განახლება, მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია და ეს პროცესი ეტაპობრივად გაგრძელდება.

საქართველოში ბავშვთა 28 პროცენტს ჭარბწონიანობა აწუხებს...

ევროპის რეგიონში ჭარბწონიანობისა და სიმსუქნის გავრცელების მაჩვენებლები ბავშვებში ჯერ კიდევ მაღალია და 29%-ს შეადგენს, — ამის შესახებ ინფორმაციას დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ავრცელებს.

მათივე ცნობით, ბავშვთა ჭარბი წონა და სიმსუქნე აზიანებს ჯანმრთელობას და მრავალი არაგადამდები დაავადების რისკ-ფაქტორია (მათ შორის — გულსისხლძარღვთა დაავადებები, დიაბეტი, კიბო და აშ.)

„დღეს ევროპის რეგიონში სკოლის ასაკის ყოველ მესამე ბავშვს აწუხებს ჭარბი წონა ან სიმსუქნე. ეს მაჩვენებელი ბევრ ქვეყანაში იზრდება. პრობლემის ეფექტურად გადასაწყვეტად საჭიროა ხარისხიანი მონაცემები. მონაცემები რეგიონის 33 ქვეყნიდან ჯანმოს ევროპის რეგიონული ოფისი აქვეყნებს ბავშვთა სიმსუქნის ზედამხედველობის ინიციატივის (COSI) მე-5 რაუნდის ანგარიშს. დასკვნები ეფუძნება უახლეს მონაცემებს, რომლებიც შეგროვდა 2018-2020 წლებში ჯანმოს ევროპის რეგიონის 33 ქვეყანაში. საერთო ჯამში, 6-9 წლის ასაკის თითქმის 411 000 ბავშვმა მიიღო კვლევაში მონაწილეობა.

ანგარიშის მიხედვით, საქართველოში ბავშვთა 28%-ს აწუხებს ჭარბწონიანობა (სიმსუქნის ჩათვლით), რაც ევროპის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელია, თუმცა ამ სფეროში ქვეყნის ეროვნული პოლიტიკის არარსებობის პირობებში, ამ მაჩვენებელმა იოლად შეიძლება მიიღოს მზარდი ხასიათი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით. საერთო ჯამში, მონაწილე ქვეყნებში 7-9 წლის ბავშვების 29%-ს აწუხებს ჭარბი წონა (მათ შორის სიმსუქნე). ჭარბი წონის გავრცელება უფრო მაღალია ბიჭებში (31%), ვიდრე გოგონებში (28%). „ანგარიში აჩვენებს, რომ ყოველ მესამე ბავშვს აწუხებს ჭარბი წონა ან სიმსუქნე“.

„ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ ამ პრობლემის გადასაწყვეტად“ — ამბობს დოქტორი კრემლინ ვიკრამასინგე, ჯანმოს ევროპის რეგიონული ოფისის არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ოფისის ხელმძღვანელი, რომელმაც მოამზადა ანგარიში.

„ჩვენ სასწრაფოდ გვჭირდება უკეთესი პოლიტიკა, რომელიც დაგვეხმარება შეცვალოს ბავშვთა სიმსუქნის მიმდინარე ტენდენციები — განსაკუთრებით COVID-19 პანდემიის ფონზე, რომელიც, თავის მხრივ, ჭარბი წონისა და სიმსუქნის სახიფათო რისკ-ფაქტორია“. ასევე, მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს ქვეყნებს შორის, ჭარბი წონის (მათ შორის სიმსუქნის) პრევალენტობის კუთხით 7-9 წლის ბავშვებში: ტაჯიკეთში ეს მაჩვენებელი 6%-ია, ხოლო კვიპროსში იგი 43%-ს აღწევს. კვებითი ჩვევები და ფიზიკური აქტივობა ჯანმოს ევროპის რეგიონში ბავშვთა (87%) თამაშობს სუფთა ჰაერზე მინიმუმ ერთი საათის განმავლობაში. მათი 43% ყოველდღიურად მიირთმევს ხილს, ხოლო 34% — ბოსტნეულს“, — აღნიშნულია გავცრელებულ ინფორმაციაში.

რევოლუცია კიბოს სკრინინგში

სისხლის ანალიზი, რომელიც ადრეულ ეტაპზე ადასტურებს მრავალი სახის კიბოს

კიბოს ადრეული დაფიქსირება, ვიდრე ის სხეულს მოედება, ხშირად გადამწყვეტია სიცოცხლის გადასარჩენად. სწორედ ამიტომ გვირჩევენ ექიმები სხვადასხვა მეთოდით რეგულარულ სკრინინგს კიბოს რამდენიმე გავრცელებულ ტიპზე.

მაგალითად, მსხვილი ნაწლავის (კერძოდ კოლინჯის) კიბოს სკრინინგს კოლონოგრაფია ეწოდება, ძუძუს კიბოზე შემოწმებას კი მამოგრაფია.

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ყველა ამ ტესტის ჩატარება პაციენტისთვის შეიძლება ლოგისტიკურად რთული, ძვირი და ზოგჯერ არაკომფორტული იყოს. რას იტყოდით სისხლის ერთ ტესტზე, რომელიც ერთდროულად შეამოწმებდა კიბოს ყველა გავრცელებულ ტიპს?

სწორედ ამას გვპირდება მრავალკიბოს ადრეული დაფიქსირების ტესტები, შემოკლებით MCED. წელს, აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა MCED ტესტები დასახელა პროგრამა CANCER MOONSNOT-ის პრიორიტეტად; ამ ფედერალური პროგრამის ბიუჯეტი 1,8 მილიარდი დოლარია და მიზნად ისახავს კიბოთი სიკვდილის მაჩვენებლის შემცირებას, კიბოთი დაავადებულთა და მისგან განკურნებულთა სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებას. მრავალ მკვლევარს მიაჩნია, რომ ეს ტესტები ახლო მომავალში სრულიად გარდაქმნის კიბოს სკრინინგს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ კი მას ძლიერი ფედერალური მხარდაჭერა ექნება.



როგორ მუშაობს MCED ტესტები

სხეულის ყველა უჯრედი, მათ შორის სიმსივნის უჯრედებიც, სიკვდილისას სისხლის მიმოქცევაში უშვებენ დნმ-ს. MCED ტესტები სისხლში სწორედ სიმსივნის დნმ-ის კვალს ეძებს. მიმოქცევაში მყოფი ეს „უუჯრედო“ დნმ შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, რა ტიპის ქსოვილიდან არის ის მოსული, ჩვეულებრივია თუ სიმსივნური.

სისხლის მიმოქცევაში კიბოს დნმ-ის ძებნა ახალი რამ არ არის. თხევადი ბიოფსიები, რასაც შელამაზებით სისხლის ანალიზს უწოდებენ, უკვე ფართოდ გამოიყენება კიბოს მოწინავე სტადიების მქონე პაციენტებში.

სისხლის ამ ტესტებით ექიმები კიბოს დნმ-ში ეძებენ მუტაციებს, რაც მკურნალობაში ეხმარებათ. ვინაიდან გვიანდელი სტადიების კიბოს პაციენტების სისხლის მიმოქცევაში დიდი ოდენობით ცირკულირებს კიბოს დნმ, ამ გენეტიკური ცვლილებების დაფიქსირება მათში შედარებით ადვილია.

MCED ტესტები უკვე არსებული თხევადი ბიოფსიებისგან განსხვავდება, რადგან ისინი ადრეული სტადიის კიბოს დაფიქსირებას ცდილობენ, როდესაც სხეულში სიმსივნური უჯრედები ჯერ ბევრი არ არის. ადრეულ ეტაპზე კიბოს ამ უჯრედთა აღმოჩენა რთულია, რადგან სისხლის მიმოქცევაში დნმ-ს არასიმსივნური უჯრედებიც უშვებენ.

გამომდინარე იქიდან, რომ სისხლის მიმოქცევაში ცირკულირებადი დნმ-ის უმეტესობა არასიმსივნურ უჯრედებს ეკუთვნის, იქ არსებული კიბოს დნმ-ის სულ რამდენიმე მოლეკულის დაფიქსირება თივის ზვინში ნემსის ძებნას ჰგავს.

ამას კიდევ უფრო ართულებს ის, რომ სისხლის უჯრედები დაბერებასთან ერთად ბუნებრივად გამოყოფენ პათოლოგიურ დნმ-ს, რაც შეიძლება ცირკულაციაში მყოფ კიბოს დნმ-ში აგვერიოს. ამ ფენომენს კლონური ჰემატოპოეზი ეწოდება და ხელს უშლიდა MCED ტესტების შექმნის ადრეულ მცდელობებს, რადგან აჩვენებდა ძალიან ბევრ ცრუ დადებით შედეგს.

საბედნიეროდ, ახალი ტესტები სისხლის უჯრედების არევას თავს არიდებს, რადგან ფოკუსირდება კიბოს დნმ-ის „მოლეკულურ შტრიხკოდზე“, რითაც ხდება იმ ქსოვილის იდენტიფიცირება, საიდანაც ის არის მოსული. ეს შტრიხკოდები დნმ-ის მეთილირების შედეგია, დნმ-ის ზედაპირზე ბუნებრივად არსებული მოდიფიკაციების, რომლებიც სხეულის თითოეული ტიპის ქსოვილისთვის სხვადასხვაა.

მაგალითად, ფილტვის ქსოვილს ძუძუს ქსოვილისგან განსხვავებული დნმ-ის მეთილირების მახასიათებელი აქვს. გარდა ამისა, კიბოს უჯრედებს პათოლოგიური დნმ-ის მეთილირების მახასიათებლები აქვს, რაც კიბოს ტიპს შეესაბამება. სხვადასხვა დნმ მეთილირების მახასიათებელთა კატალოგიზაციის შედეგად, MCED ტესტები ფოკუსირდება დნმ-ის იმ სექციებზე, რომლებიც სიმსივნურ და ნორმალურ ქსოვილებში სხვადასხვანაირია და მიანიშნებს კიბოს წარმოშობის ადგილზე.

ტესტირების ვარიანტები

ამჟამად მუშაობა და კლინიკური ცდები მიმდინარეობს რამდენიმე MCED ტესტზე. ჯერჯერობით, FDA-ის მიერ დამტკიცებული ან რეკომენდებული არ არის არც ერთი MCED ტესტი.

2021 წელს, ბიოტექნოლოგიურმა კომპანია GRAIL-მა აშშ-ში პირველი კომერციულად ხელმისაწვდომი MCED ტესტი გამოუშვა. კომპანია აცხადებს, რომ ეს ტესტები, სახელად Galleri, 50 სხვადასხვა ტიპის კიბოს აფიქსირებს. ასეთივე ტესტებზე მუშაობს ორი სხვა ამერიკული კომპანია — Exact Sciences და Freenome, ასევე ერთი ჩინური კომპანია Singlera Genomics-ი.

ზოგიერთი ეს ტესტი ცირკულირებად სიმსივნურ დნმ-სთან ერთად ასევე იყენებს კიბოს დაფიქსირების სხვა მეთოდებს, მაგალითად, სისხლში ეძებს კიბოსთან დაკავშირებულ ცილებს. MCED-ის Gfkkthb ტესტები აშშ-ში 949 დოლარი ღირს.

როგორ უნდა გამოვიყენოთ MCED ტესტები

მრავალ წელს წაიღებს იმის გარკვევა, თუ როგორ უნდა დაინერგოს კლინიკებში MCED ტესტები.

მკვლევრები და კლინიცისტები ჯერ ახლა იწყებენ კითხვების დასმას იმაზე, თუ ვინ უნდა გაიტესტოს, რა ასაკში, როგორ უნდა მიიღონ მხედველობაში წარსულის სამედიცინო და ოჯახური ისტორია. ექიმებისთვის ასეთი სახელმძღვანელოების შექმნა საკმაოდ მნიშვნელოვანია. ასევე არის შიშები იმაზე, რომ MCED ტესტებმა შეიძლება დაბალი რისკის, ასიმპტომური კიბოების ზედმეტად ბევრი დიაგნოზი დასვას, რომლებიც სჯობს, საერთოდ არ დადასტურდეს. ასე მოხდა პროსტატის კიბოს სკრინინგისას.

აქამდე არსებული სახელმძღვანელოს რეკომენდაციით, რეგულარულად უნდა მოხდეს 55-დან 69 წლამდე ყველა კაცის სისხლის ტესტირება, რათა განისაზღვროს PIA-ს დონე, ცილის, რომელსაც სიმსივნური და არასიმსივნური პროსტატის ქსოვილები წარმოქმნის. მაგრამ რეკომენდაცია ახლა უფრო ნიუანსურია და სკრინინგს ინდივიდუალურ საფუძველზე ითვალისწინებს. შეშფოთების კიდევ ერთი საგანი ის არის, რომ დადებითი MCED შედეგების დამატებითი ტესტირება სამედიცინო სისტემებისთვის ხარჯიანი და დამაბრკოლებელი იქნება, განსაკუთრებით, თუ საჭიროა მთლიანი სხეულის სკანირება.

ასევე, დადებითი MCED ტესტის პაციენტებს, რომლებიც შემდეგ სრულ, ძვირად ღირებულ სკანირებას ვერ შეძლებენ კიბოს დასადასტურებლად, შეიძლება მთელი ცხოვრება გაჰყვეთ აშლილობა პოტენციურად გამორჩენილი დიაგნოზის შესახებ.

მიუხედავად ასეთი საფრთხეებისა, კლინიკური კვლევები იმედისმომცემია.

ამგვარმა ტესტებმა მალე შეიძლება ნამდვილი რევოლუცია მოახდინოს კიბოს სკრინინგში. ახლა საკითხავი ის არის, არიან თუ არა ამისათვის მზად ჯანდაცვის სისტემები.

მოამზადებულია
THE CONVERSATION-ის მიხედვით.

კოვიდსტატისტიკა აღარ გამოქვეყნდება

ჯანდაცვის სამინისტრო კოვიდსტატისტიკას აღარ გამოაქვეყნებს. ამის შესახებ საქართველოს პირველ არხს ჯანდაცვის სამინისტროდან აცნობეს.

როგორც უწყებაში განმარტავენ, ბოლო პერიოდში ქვეყანაში ინფიცირების დაღმავალი ტენდენცია ფიქსირდება და ეპიდსიტუაცია სტაბილურია. აღნიშნულის გათვალისწინებით კი, სამინისტროს ინფორმაციით, კოვიდსტატისტიკის გამოქვეყნების აუცილებლობა აღარ არსებობს.

„კოვიდთან დაკავშირებულ მონაცემებს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი დაამუშავებს რუტინული სტატისტიკური ანგარიშგების მიზნით, დაინტერესებულ მხარეებს კი საჯარო წესით გაუზიარებს“, — აღნიშნავენ ჯანდაცვის სამინისტროში.

„საბჭოთა ვიაგრა“, „კრემლის აბები“ და საბჭოთა პარამედიცინის სხვა საოცრებანი

ფიზიოთერაპიული პროცედურები. სსრკ 1959 წ.

რა დანიშნულებით იყენებდა საბჭოთა მედიცინა ორსული ქალების შარდს? ვინ შექმნა პრეპარატი გრავიდანი – ე.წ. საბჭოთა ვიაგრა, რომლის კომპონენტების მისაღებად სპეციალურ მეურნეობაში თავს უყრიდნენ ახალგაზრდა ფეხმძიმე ქალებს მთელი საბჭოთა კავშირიდან? როგორც ირკვევა, მაქსიმ გორკი, სემიონ ბუდიონი, სერგო ორჯონიკიძე, კლარა ცეტკინი და სხვ. – მთელი საბჭოთა ელიტა „იჯდა“ ამ პრეპარატზე, რომლის გემოქმედების ქვეშ, სავარაუდოდ, ასევე იმყოფებოდა ყველაზე ცნობილი საბჭოთა მოქანდაკე ქალი ვერა მუხინა, როცა ეპოქალური მნიშვნელობის სკულპტურას, „მუშასა და კოლმეურნეს“ ქმნიდა.

რუსეთის ჯარის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, რამდენიმე მსხვილმა დასავლურმა ფარმაცევტულმა კომპანიამ შეზღუდა მედიკამენტების მიწოდება რუსეთის ბაზარზე. ჯერ კიდევ მარტში, რუსეთის სამედიცინო საზოგადოების მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ რუსეთში, სულ ცოტა, 80 დასახელების მედიკამენტის მწვავე დეფიციტი იყო, მათ შორის, რთულად იშოვებოდა ინსულინი და საბავშვო ნუროფენი. ამგვარი მძიმე ვითარების ფონზე, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების ერთმა ნაწილმა მედიკამენტების მომარაგება დაიწყო, მეორე ნაწილმა კი იმით დაიმშვიდა თავი, რომ შესაძლებელია ჩრდილოეთ კორეის მაგალითის გადაღება და ჯანმრთელობაზე ზრუნვა ალტერნატული მედიცინით, მით უფრო, რომ ამ მიმართულებით „უნიკალური აღმოჩენები“ საბჭოთა კავშირსაც ჰქონდა. საგულისხმოა, რომ მკურნალობის საეჭვო მეთოდებსა და საშუალებებზე განსაკუთრებით მაღალი მოთხოვნილება იყო მაშინ, როცა საბჭოთა აფთიაქებში ძირითადად მხოლოდ ვაზელინი და ასპირინი იყიდებოდა.

შარდი თავში

1927 წელს გერმანელმა ენდოკრინოლოგმა ზელმარ აშჰეიმმა აღმოაჩინა საინტერესო მოვლენა: როცა თეთრ თაგვებს კანქვეშ შეუყვანეს ორსული ქალის მცირე რაოდენობის შარდი, ცხოველები უკიდურესად აღიგზნენ, რაც გონადოტროპული ჰორმონის მოქმედებამ გამოიწვია. ცნობილია, რომ ეს ჰორმონი ძლიერად ზემოქმედებს სქესობრივ სფეროზე.

ექიმი ალექსეი ზამკოვი,

სსრკ-ში აშჰეიმის ექსპერიმენტი გაიმეორა ექიმმა ალექსეი ზამკოვმა, ცნობილი მოქანდაკის ვერა მუხინას ქმარმა, თუმცა ზამკოვი უფრო შორს წავიდა: მან დაიწყო ექსპერიმენტების ჩატარება უფრო დიდ ცხოველებზე, შემდეგ კი საკუთარ თავზე. შედეგები უბრალოდ გასაოცარი აღმოჩნდა: **„თითქოს შამპანური დაგილევია! ამგვარი აღმაფრენა 10 დღე გაგრძელდა, ხოლო ექსპერიმენტში ჩართული ფაუნა არა და არ დაცხრა. ბებერმა ჯაგლაგმა, რომელსაც დასაკლავად ამზადებდნენ, ინექციის შემდეგ რეკორდული სიფიცხე გამოავლინა. ყველა ქმნილება ძლიერდებოდა, ნაყოფიერდებოდა და მრავლდებოდა, როგორც სამოთხეში“,** – ასე აღწერა ზამკოვმა წამლის ეფექტი, რომელსაც უწოდა ლამაზი სიტყვა **„გრავიდანი“** (gravida – ლათ. ფეხმძიმობა).

დაინახა რა, როგორ შეიცვალა ქმარი, ვერა მუხინამაც მოითხოვა „იგივე“ ინექცია და... დაიწყო ბედნიერი დღეები. პირველი ენთუზიაზმის კვალდაკვალ, ზამკოვმა გააფართოვა ექსპერიმენტი: კლინიკურ კვლევებში ჩართო წითელი არმიის ჯარისკაცები და ნარკომანები (ეს სოციალური ჯგუფები დიდწილად ერთმანეთში იკვეთებოდნენ). და მართლაც! ბევრი ცდისპირი გამოჯანმრთელდა ნარკომანიისგან! თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბევრ მათგანს განუვითარდა დამოკიდებულება გრავიდანზე, მაგრამ ეს, როგორც იტყვიან, რა სათვალავში ჩასაგდები იყო.

თუმცა, ბოროტი და შურიანი ხალხი არ თვლემდა! 1930 წელს ფსევდომეცნიერების მოწინააღმდეგეებმა „იზვესტიაში“ გამოაქვეყნეს მამხილებელი სტატია, სადაც ზამკოვი დაადანაშაულეს ექიმმაშობასა და ადამიანებზე უკანონო ექსპერიმენტების ჩატარებაში. ლაბორატორია, სადაც ცდები ტარდებოდა, დაიხურა. ზამკოვი ცდილობდა არალეგალურად გამგზავრებულიყო საზღვარგარეთ, რათა ბოლშევიკებისგან შორს გაეგრძელებინა კვლევა, მაგრამ დაიჭირეს და ბრალი დასდეს „შარდის სასწაულებრივი საიდუმლოს დასავლეთისთვის მიყიდვის მცდელობაში“. საბედნიეროდ, საკმაოდ რბილი განაჩენი გამოუტანეს. გრავიდანის აღმომჩენი მხოლოდ სამი წლით გადაასახლეს ვორონეჟში, სადაც მალევე ჩავიდა ქმარსა და პრეპარატს დანატრებული ვერა მუხინაც.

გადასახლება დიდხანს არ გაგრძელებულა. აღმოჩნდა, რომ გრავიდანმა მალე გაიჩინა თაყვანისცემლები „სელებრიტებს“ შორის: პრეპარატი „ვასინჯეს“ ისეთმა მნიშვნელოვანმა ადამიანებმა, როგორებიც იყვნენ მწერალი მაქსიმ გორკი და მარშალი სემიონ ბუდიონი, ასევე კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის არაერთი წევრი, რომლებიც სტიმულატორების მწვავე საჭიროებას განიცდიდნენ. 1932 წელს ზამკოვი სასწრაფოდ დაბრუნეს მოსკოვში და დანიშნეს სპეციალურად შექმნილი ლაბორატორიის დირექტორად. საქმე სახელმწიფო მასშტაბითა და შესაბამისი გაქანებით აეწყო: ორსულთა შარდი მოსკოვის მახლობლად, ხოტკოვოში შექმნილ სპეციალურ „ფერმაში“ გროვდებოდა. ეს იყო სპეციალური სახელმწიფო მეურნეობა, სადაც მოჰყავდათ ეკოლოგიურად სუფთა ბოსტნეული და ხილი, რომელსაც აჭმევდნენ ახალგაზრდა და ჯანმრთელ ქალებს ორსულობის პირველ თვეებში. ძირითადად ხოტკოვოში ხვდებოდნენ ჯანმრთელი გლეხი ქალები მთელი საბჭოთა კავშირიდან.


კლარა ცეტკინი, 1930 წ.

1934 წელს სახელმწიფო მეურნეობამ და მისმა მიმდებარე შენობებმა მეცნიერული სახელწოდება მიიღეს: **„ურეგრავიდანოთერაპიის სახელმწიფო ინსტიტუტი“,** ზამკოვი კი ამ დაწესებულების დირექტორად დაინიშნა. მოქანდაკე მუხინას ქმრის მიერ აღმოჩენილ წამალს იყენებდნენ არა მხოლოდ მედიცინაში, არამედ ვეტერინარიაშიც, რათა ცხოველები სწრაფად გაზრდილიყვნენ წონაში და უფრო აქტიურად გამრავლებულიყვნენ. წარმოება სულ უფრო მაღალ ტემპს კრებდა, საბჭოთა კავშირში მოქმედებდა ასობით პუნქტი, სადაც რუდუნებით ინახებოდა ქარვისფერი, ჯადოსნური სითხით სავსე სინჯარები.

შარდის ინექციებს იკეთებდნენ არა მხოლოდ ღორები, ძროხები და ცხენები (მათთვის, ცხადია, არავის უკითხავს, სურდათ თუ არა), არამედ მაღალი თანამდებობის საბჭოთა პარტიული მუშაკებიც: მოლოტოვი, კალინინი, ორჯონიკიძე და მათთან შეამხანაგებული კლარა ცეტკინი, რომელიც მალე გარდაიცვალა და, შესაბამისად, მალევე აღმოჩნდა კრემლის კედელში შედგმულ urნაში. შეუძლებელი იყო დარწმუნებით იმის თქმა, რომ გრავიდანმა მოკლა გერმანელი კომუნისტი ქალი, თუმცა საბჭოთა ექიმებმა გადაწყვიტეს, სტალინზე არ ჩაეტარებინათ ექსპერიმენტი.

ცოტა ხანში კი გაირკვა, რომ პრეპარატს ჰქონდა უკუჩვენებებისა და გვერდითი ეფექტების მთელი თაიგული: ძილის დარღვევა, ზოგადი მდგომარეობის გაუარესება, პულსის აჩქარება, ქოშინი, გამონაყარი... გარდა ამისა, საჭირო იყო დიდი სიფრთხილე პრეპარატის მიღებისას: თითოეული პაციენტი თავისებურად რეაგირებდა ინექციაზე, შესაბამისად, ინდივიდუალურად უნდა შეერჩიათ დოზები. ყოველივე ამის გარდა, აღმოჩნდა, რომ როდესაც გრავიდანის მიღებას წყვეტდნენ, ბევრს ეწყებოდა ნამდვილი „ლომკა“, რაც მედიკამენტის მთელ სამკურნალო ეფექტს წყალში ყრიდა. ერთი სიტყვით, საშიში „სათამაშო“ გამოდგა. ექსპერიმენტების დროს რამდენიმე ცხენიც კი დაიხოცა! მხოლოდ კავალერისტი ბუდიონი, თავისი რკინის ჯანმრთელობით, განაგრძობდა ყინჩად ყოფნას და გრავიდანის ახალ-ახალი დოზების მიღებას.

1936 წელს პრესაში კვლავ დაიწყო „ექიმ-სასწაულმოქმედების“ საწინააღმდეგო კამპანია, რომლის წინაშეც ზამკოვი თითქმის მარტო აღმოჩნდა. მის მიმართ კეთილად განწყობილი გორკი გარდაიცვალა, ორჯონიკიძემ თავი მოიკლა. როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, მისი ერთადერთ დამცველი აღმოჩნდა ცოლი, ვერა მუხინა, რომელსაც სულ ახალი მიღებული ჰქონდა შეკვეთა ქანდაკებაზე, რომლითაც უნდა გაფორმებულიყო საბჭოთა პავილიონი პარიზის მსოფლიო გამოფენაზე. ამბობენ, ყველაზე ცნობილი საბჭოთა ქანდაკება – „მუშა და კოლმეურნე“ მუხინამ გრავიდანის ზემოქმედების ქვეშ შექმნაო და, რომ დღეში სამ დოზას იღებდაო. ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ ამ დიდებული ქანდაკებიდან ჩანს, თუ რამდენად ძლიერი იყო ორსული ქალის შარდიდან გამოყოფილი ნივთიერება!

მიუხედავად ამისა, 1938 წელს ინსტიტუტი და „გრავიდანის ფერმა“ დაიხურა, ხოლო ზამკოვი, რომელმაც ჯანმრთელობა შეირყია გრავიდანის ცხენის დოზების ექსპერიმენტული მიღებით, ლოგინად ჩავარდა მიოკარდიუმის ინფარქტის დიაგნოზით. როცა გარდაიცვალა, 60 წლისაც არ იყო. ვერა მუხინამ, მართალია, ქმარზე მეტხანს იცოცხლა, მაგრამ 1953 წელს ისიც გულით (სტენოკარდიით) გარდაიცვალა, სულ რაღაც, 64 წლის ასაკში...

ასე დასრულდა „რუსული ვიაგრას“ ისტორია, თუმცა ბოლომდე არც დასრულებულა. XX საუკუნის 60-იან წლებში საბჭოთა კავშირი მოიცვა ალტერნატიული მედიცინის ინტერესის მძლავრმა ტალღამ (მუმიები, აკუპუნქტურა, სამკურნალო შიმშილობა და ა.შ.) და ბევრმა გაიხსენა ურინოთერაპია (შარდის თერაპია). 1930-იან წლებში გამოქვეყნებული ზამკოვის სტატიები ხელახლა იბეჭდე-

ვერა მუხინა, 1946 წ.

ბოდა „სამიზდატში“ და მთელი ქვეყნის მასშტაბით ვრცელდებოდა. ურინოთერაპიამ მტკიცედ დაიკავა ადგილი ფსევდოსამედიცინო სიგიჟეებს შორის და მისი მომხრეები დღემდე მზად არიან გავეშებით ამტკიცონ, რომ შარდი დიდებულ ზემოქმედებას ახდენს ადამიანის სხეულსა და სულზე, თუმცა, ფაქტია, არანაირი შედეგი, მსგავსი „მუშისა და კოლმეურნისა“, მისი დახმარებით აღარ შექმნილა...

ლენინის ტვინი და უტვინო ქათამი

1930-იანი წლების დასაწყისში, როდესაც სტალინურმა კოლექტივიზაციამ ქვეყანა შიმშილამდე მიიყვანა, გამოჩნდნენ მეცნიერები, რომლებმაც „სურსათის საკითხის“ გადაჭრის ორიგინალური იდეა წამოაყენეს.

პროფესორმა ბორის ბაიანდუროვმა, რომელიც ხელმძღვანელობდა ტომსკის სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიოლოგიის განყოფილებას, წამოაყენა ცოცხალი ქათმებისთვის ტვინის ამოღების იდეა. „ტვინის აქტივობა „ჭამს“ უამრავ კალორიას!“ – ამტკიცებდა 30 წლის პროფესორი და ექსპერიმენტულად ამტკიცებდა თავის თეზისს. და მართლაც: უტვინო ქათმები აგრძელებდნენ ჭამასა და ცხიმის დაგროვებას, თანაც საოცრად მაღალი ტემპით, ათჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე მათი „მოაზროვნე“ ნათესავები. უტვინო (სიტყვასიტყვით) ქათამი ჩვეულებრივ ქათამზე ნაკლებს ჭამდა და მეტად უფრო სწრაფად სუქდებოდა.

ეს გასაოცარი აღმოჩენა თითქოს მიანიშნებდა, რომ ვივისექცია მშვენიერი გზა იყო შიმშილის პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ გადასაჭრელად. მიუხედავად იმისა, რომ ბაიანდუროვის ექსპერიმენტებმა ვერ ჰპოვა გამოყენება ეროვნულ ეკონომიკაში, მეცნიერმა 1946 წელს სტალინური პრემია მაინც მიიღო.

საბჭოთა კავშირში ტვინს მხოლოდ ქათმებს არ აცლიდნენ. ფსიქიატრ ბეხტერევის თხოვნით, 1928 წელს დაარსდა სრულიად გასაიდუმლოებული „ტვინის ინსტიტუტი“, რომლის თანამშრომლები, ლენინის გენიალურობის მიზეზის დადგენის იმედით, მიკროსკოპების ქვეშ სწავლობდნენ ბელადის წვრილად დაჭრილ ტვინს (თავად მსოფლიო პროლეტარიატის ლიდერი, საუკეთესო სპეციალისტების მიერ მუმიფიცირებული, იოლად გადიოდა ფონს ტვინის გარეშე). თუმცა თავად ბეხტერევი ვერ მოესწრო ინსტიტუტის გახსნას: 1927 წელს მან გამოიკვლია სტალინი და დაუფიქრებლად დაუსვა გენმდივანს პარანოიის დიაგნოზი. ორი დღის შემდეგ, პროფესორი ბეხტერევი მოულოდნელად გარდაიცვალა, ოფიციალური ვერსიით, საკვებით ინტოქსიკაციისაგან.

1928 წელს გახსნილი ინსტიტუტი სსრკ-ის დაშლამდე ფუნქციონირებდა. ამ ინსტიტუტში მუშაობდნენ ყველაზე ცნობილი საბჭოთა ნეიროფიზიოლოგები, რომლებიც დიდ დროს უთმობდნენ ცნობილი ადამიანების „ნაცრისფერი ნივთიერებების“ შესწავლას ანუ „საუკეთესო ტვინები“ სწავლობდნენ საუკეთესო ტვინებს. ინსტიტუტის უზარმაზარი კოლექცია შეიცავდა მაიაკოვსკის, სტანისლავსკის, ციოლკოვსკის, ლუნაჩარსკისა და მრავალ სხვათა თავის ქალათა შიგთავსებს.

თუმცა კოლექცია სერიოზულად „მოიკოჭლებდა“ გენდერული თვალსაზრისით: მამაკაცის ას ტვინზე მხოლოდ ორი ქალის – ნადეჟდა კრუპსკაიასა და უბედური კლარა ცეტკინის ტვინი მოდიოდა. გარდა ამისა, ინსტიტუტმა „ჩააგდო“ თავისი მთავარი ამოცანა. ერთადერთი (და, რა თქმა უნდა, უაღრესად სპეკულაციური) დასკვნა, რომლის გაკეთებაც მეცნიერებმა შეძლეს დიდი ადამიანების ტვინების შესწავლისა და აწონვის შემდეგ, ასე ჟღერდა: ტვინის მოცულობა და წონა, როგორც წესი, მისი მფლობელის ნიჭის პროპორციულია. მაიაკოვსკის უზარმაზარი ტვინი ჰქონდა, ციოლკოვსკის – საკმაოდ მოცულობითი. აი, ლენინის ტვინი კი მხოლოდ 1,3 კგ-ს იწონის, რაც ინსტიტუტის მასშტაბით საშუალო მაჩვენებელზე დაბალია.

სერგეი ტაშევსკი

www.radiotavisupleba.ge

(დასასრული იძნება)

ტუტანხამონის აკლდამაში არსებული იდუმალი მინიშნებები აძლიერებს მოსაზრებას, რომ ნეფერტიტის მუმია შეიძლება ახლომახლო იმალებოდეს



იპოვიან ლეგენდარული ნეფერტიტის მუმიას?

წელს ტუტანხამონის აკლდამის აღმოჩენიდან ასი წლისთავია. მიუხედავად ამხელა დროისა, ეს სახელგანთქმული სამარხი დღემდე გვიმხელს საიდუმლოებებს და დაპირისპირებათა საგანიც ხდება.

როგორც სახელგანთქმული ბრიტანელი ეგვიპტოლოგი და ბრიტანეთის მუზეუმის კურატორი აცხადებს, აღმოაჩინა მტკიცებულება, რომლის მიხედვითაც, აკლდამის კედლის მხატვრობა და იეროგლიფები ნაჩქარევად იყოს დაფარული.

ნიკოლას რივსი უკვე წლებია ირწმუნება, რომ ტუტანხამონის აკლდამის ნახატები სინამდვილეში თავად ფარაონს არ ასახავს. მისი პირის კუთხეებთან არსებული ხაზები ხშირად გვხვდება მისი წინამორბედის, ნეფერტიტის ნახატებზეც.

შესაბამისად, რივსი ფიქრობს, რომ მიუხედავად იმისა, კედლებზე 19 წლის მამაკაცია გამოსახული, შეიძლება ისინი ასახავდეს ტუტანხამონის მიერ საკუთარი დედინაცვლის, ნეფერტიტის დამარხვას, რომლის მუმიაც დღემდე არ არის აღმოჩენილი.

რივსთან ჩაწერილი ახალი ინტერვიუს მიხედვით, ამ გამოსახულებათა თავზე არსებული ოვალურჩარჩოიანი იეროგლიფები, რომლებსაც კარტუშებს უწოდებენ, ზემოდან ჩანს გადაწერილი, რაც ცვლის დაკრძალვის ცერემონიაში ჩართულთა ვინაობას.

ისტორიულად, მკვლევრები ფიქრობდნენ, რომ „პირის გახსნის ცერემონიის“ კედლის მხატვრობა (ქვემოთ) ასახავს ტუტანხამონის ცხედრის დასამარხად მომზადებას მისი მემკვიდრის, მომავალ ფარაონ ეიეს მიერ.

თუმცა, რივსის განცხადებით, ეიეს მახასიათებლები, მათ შორის მისი ჩაფსკვნილი ნიკაპი და პატარა, აპრეხილი ცხვირი უფრო ახალგაზრდა ტუტანხამონისას წააგავს.

„ეიეს კარტუშის ახლო დათვალიერება ავლენს ქვეშ დაწერილი წინა სახელის აშკარა კვალს, რაც იკითხება, როგორც „ტუტანხამონი“. თავდაპირველ ვერსიაში, ეს სცენა ასახავდა ტუტანხამონის მიერ დაკრძალვის რიტუალის შესრულებას სამარხში, რომელიც თავდაპირველად მის უშუალო წინამორბედს, ნეფერტიტს ეკუთვნოდა“, – ამბობს რივსი.

რივსის აზრით, სრულიად შესაძლებელია, რომ ტუტანხამონის მოულოდნელი სიკვდილის შემდეგ, მისი სამარხის ნეფერტიტის აკლდამაში მოაწყვეს.

თუკი რივსი მართალია, მეტი წონა ეძლევა თეორიას, რომლის მიხედვითაც, **ნეფერტიტი შეიძლება იქვე ახლომახლოს იყოს დაკრძალული.**

უფრო მეტიც, რივსი უკვე წლებია ირწმუნება, რომ ტუტანხამონის აკლდამა უფრო დედოფლისას შეეფერება, ვიდრე მეფისას.

პირველ რიგში, აკლდამა უჩვეულოდ პატარაა, მეფეთა ველზე აღმოჩენილ სამეფო სამარხებს შორის ყველაზე პატარა. ამას გარდა, როგორც რივსი აღნიშნავს, სამარხში აღმოჩენილი განძი უფრო „ფემინური“ ბუნებისაა.

ასევე, აკლდამის ძირი სხვა სამარხებზე უფრო უსწორმასწოროა, კედლის ნახატები კი ნაჩქარევად არის გაკეთებული, აქვს იმის ნიშნებიც, რომ საღებავი ჯერ გამშრალიც კი არ იყო, როდესაც ის დალუქეს.

ეს ყველაფერი ერთად მიუთითებს, რომ დაკრძალვა სწრაფად ჩატარდა, რაც ლოგიკურია, რადგან ტუტანხამონი ძლიერ ახალგაზრდა, სიყმაწვილის მიწურულს დაიღუპა.

2015 წელს, ტუტანხამონის აკლდამაზე მომუშავე მკვლევრებმა კედლებზე ადამიანის თვალისთვის ძლივს შესამჩნევი გარკვეული მახასიათებლები აღმოაჩინეს, რომლებიც როგორც მათ იფიქრეს, ახლომახლოს არსებულ ფარულ, დალუქულ ოთახზე მიუთითებდა.

რივსმა ყველა ამ მტკიცებულებას მოუყარა თავი და ირწმუნება, რომ ნეფერტიტის სხეული ერთ-ერთ ასეთ ოთახში ასვენია.

მას ზოგიერთი არ ეთანხმება, მაგალითად, ეგვიპტის სიძველეთა მინისტრი მამდუჰ ალ-დამატი.

ისინი ირწმუნებიან, რომ თუკი მალული ოთახები არსებობს, რაც ჯერ კიდევ ცხარე დებატების საგანია, იქ შეიძლება ტუტანხამონის ბიოლოგიური დედა ესვენოს და არა ნეფერტიტი.

2018 წელს, ტუტანხამონის აკლდამის რადარულმა სკანირებებმა დაკავშირებული ოთახების კვალს ვერ მიაგნო. მაგრამ შემდეგ, 2020 წელს, ძეგლის კიდევ ერთმა სკანირებამ მიუთითა, რომ ახლომახლოს შეიძლება მართლაც იყოს დაკავშირებული ოთახი.

არსებობს ამის გარკვევის მხოლოდ ერთი გზა. თუმცა, ამ ძეგლის შეუფასებელი ბუნებიდან გამომდინარე, კედლების გამოთხრა ნამდვილად არ იქნებოდა საზრიანი.

ამ ეტაპზე, ნიკოლას რივსის თეორია ჯერ მხოლოდ სპეკულაციაა.

მომზადებულია ScienceAlert-ის მიხედვით.

მიხეილ ჟაბუკაშვილი



ტატამზე

ბრინჯაოთი დავიწყეთ

ბაქოში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე პარა ძიუდოში საქართველოს პარალიმპიური კომიტეტის ეროვნულ ნაკრებს პირველი მედალი ზურაბ ზურაბიანმა მოუტანა. 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში მან მესამე ადგილისთვის ბრძოლაში თანამემამულე ნუკრი მიღრიჯანაშვილს დამატებით დროში, ვაზარით აჯობა.

პლანეტის პირველობაზე კიდევ სამმა ქართველმა – გიორგი ქალდანმა (-73 J2), ბაჩუკი შელიამ (-73 J2) და მიშიკო შიობრი შვილმა (-73 J1) იასპარეზა. ისინი მედლების აღებასთან ახლოს იყვნენ, მაგრამ რეპეშაჟში ბოლო ბრძოლები დათმეს და ინდივიდუალური ასპარეზობა კვარცხლბეკზე ასვლის გარეშე დასრულეს.

დღეს ძალებს კიდევ 4 ქართველი პარასპორტსმენი მოსინჯავს. ბაქოს ტატამზე ლაშა ყიზილაშვილი (-90 J2), პარალიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ზვიად გოგოჭური (-90 J2) და „TOKYO2020-ის ვიცე-ჩემპიონები: რევაზ ჩიკოიძე (+100 J2) და ინა ქალდანი (-70 J2) გამოვლენ.

ოვალური ბურთი

სამოა ოთხი წლის შემდეგ ბრუნდება

მანუ სამოა საქართველოს მეოთხედ ეწვევა და 12 ნოემბერს ბორჯღალოსნებთან ისტორიაში მეექვსედ ითამაშებს. წლის ბოლო საშინაო შეხვედრა „დინამო არენაზე“ 18 საათზე დაიწყება.

სამოას კუნძულებზე რაგბის თამაში 1920 წელს დაიწყეს, მალე ნაკრებიც შეიქმნა და 1924 წელს ფიჯისთან პირველი შეხვედრა გამართა. სამოელებმა ყველაზე დიდი სხვაობით 2009 წელს პაპუა-ახალი გვინეასთან მოიგეს (115:7), თავად კი ერთი წლით ადრე ახალ ზელანდიასთან დამარცხდნენ (14:101).

სიძლიერიდან გამომდინარე, მათ ხშირად უწევდათ წამყვან სარაგბო ქვეყნებთან თამაში და 1991-2014 წლებში რამდენიმე ხმაურიანი გამარჯვებაც მოიპოვეს – 5-ჯერ იტალიასთან (7 თამაშიდან), 4-ჯერ უელსთან (10 თამაშიდან), 3-ჯერ არგენტინასთან (4 თამაშიდან), თითო-თითოჯერ ავსტრალიასთან, ირლანდიასთან და შოტლანდიასთან.

1991 წლიდან დღემდე სამოამ ყველა – 8-ვე მსოფლიო თასზე ითამაშა და ორჯერ მეოთხედფინალშიც გავიდა (1991, 1995). 2023 წლის მსოფლიო თასის საგზური კუნძულელებმა ოკეანეთი1-ის სახელით მოიპოვეს და საფრანგეთში „დ“ ჯგუფში ინგლისთან, იაპონიასთან, არგენტინასა და ჩილესთან მოხვდნენ.

ზაფხულში სამოელებმა წყნარი ოკეანის თასზე ავსტრალია „ბ“, ტონგა და ფიჯი დაამარცხეს და ტიტულის მფლობელები გახდნენ. საქართველოში ჩამოსვლამდე ისინი იტალიას ეწვივნენ და 17:49 დამარცხდნენ. შედეგად, სამოა მსოფლიო რეიტინგში 74,33 ქულით მე-14 ადგილზე დაქვეითდა. საქართველო 74,51 ქულით მე-13 პოზიციაზეა. მას 0,20 ქულით უსწრებს იტალია და 0,33-ით ფიჯი. ამრიგად, თუ ბორჯღალოსნები 12 ნოემბერს „დინამო არენაზე“ მოიგებენ, ხოლო იტალია (ავსტრალიასთან) და ფიჯი (ირლანდიასთან) დამარცხდებიან, ბორჯღალოსნები სარეკორდო მე-11 ადგილზე დაწინაურდებიან.

ტრადიციულად, სამოელები თამაშის წინ ასრულებენ საბრძოლა ცეკვა სივა-ტაუ-ს, რაც მეტოქის მიმართ პატივისცემის გამოხატულებაა.

ბორჯღალოსნებს სამოას წინააღმდეგ 5-ჯერ უთამაშიათ და მეტოქესთან დადებითი ბალანსი აქვთ – 3 მოგება, 1 ფრე და 1 მარცხი, ისიც 19 წლის წინათ, 2003 წლის სადებიუტო მსოფლიო თასზე პერთში 9:46. მას შემდეგ 10 წელი ველოდეთ კუნძულელებთან ტესტ-მატჩს და 2013 წელს, იმ დროისთვის უძლიერეს სამოას თბილისში 16:15 ვაჯობეთ.

2016 წელს წყნარი ოკეანის კუნძულებზე ტურნეზე მყოფმა ბორჯღალოსნებმა მეტოქესთან ფრედ 19:19 ითამაშეს. იმავე წელს სამოა თბილისში მივიღეთ და 20:16 დავამარცხეთ, ბოლოს კი 2018 წელს „ავჭალაზე“ ვუმასპინძლეთ და დიდი ჩამორჩენის მიუხედავად, საბოლოოდ 27:19 გავიმარჯვეთ. სამოელებს 3-ჯერ ვეთამაშეთ თბილისში – ორჯერ ვაკეში „მიხეილ მესხიზე“ და ერთხელ ავჭალაში, წელს კი პირველად ვერკინებით „დინამო არენაზე“.

2003 წლის მატჩის შედეგად, გატანილ და გაშვებულ ლელოებსა და ქულებში მეტოქე ლიდერობს. სამოასთვის საქართველოს გატანილი აქვს 7 ლელო და მიღებული 13, ხოლო ქულების თანაფარდობა 91:115-ზეა.

მსოფლიო რაგბის მიერ წესებში შეტანილი ცვლილების შემდეგ, თბილისში ორი სამოელი „ოლ ბლექსი“ მოდის – სტევენ ლუატუა, რომლის ანგარიშზე ახალი ზელანდიის კვართით 15 მატჩია და ჯეფრი ტოომაგა-ალენი (1 კეპი). გუნდშია დუნკან პაია'ძაუა, რომელიც ავსტრალიის ნაკრებში იყო გამოძახებული, თუმცა დებიუტმა არ მოუწია.

მუნდიალი

დიდი ომის წინ

რეიკიავიკში ისლანდიასთან სათამაშოდ მომქანცველი მგზავრობის შემდეგ, ჩასულმა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა კლუბ „ბრეიდაბლიკის“ დარბაზში ივარჯიშა, რომელსაც უფრო მოთელვითი და აღდგენითი ერქვა, თუმცა ილიას ზურუსმა იგი საკმაოდ ყაირათიანად გამოიყენა და გუნდი ტაქტიკურ მონახაზზე, კომბინაციების დამუშავებაზე ავარჯიშა.

საქართველოს ნაკრები ისლანდიაში ჩვეულზე ადრე ჩავიდა, რის გამოც სხვა დარბაზში მოუწია ვარჯიშმა. დებულების თანახმად, გუნდებს სათამაშო არენაზე ვარჯიში თამაშის წინა 2 დღეს ეკუთვნით და

FIBA BASKETBALL WORLD CUP PHILIPPINES · JAPAN · INDONESIA 2023

რაკი ქართველები 11 ნოემბერს დანიშნულ მატჩამდე 3 დღით ადრე ჩავიდნენ, კერძო კლუბის მომცრო დარბაზში მოუწიათ ვარჯიშმა.

ჩვენმა ნაკრებმა ორი ვარჯიში გამართა – პირველად „ლაუგარდალსჰოლში“ ივარჯიშა, ხოლოსაღამოს ისევ „ბრეიდაბლიკის“ დარბაზს მიაკითხა. რეიკიავიკში მყოფი 13-ივე კალათბურთელი მწყობრშია, ტრავმა და ტკივილები არც ერთს არ აწუხებს. ეროვნულ გუნდს **თორნიკე შენგელია** დღეს შეუერთდება რადგან გუშინ ნაკრების კაპიტანს ევროლიგაზე „მილანთან“ უწევდა თამაში, რის შემდეგაც პირდაპირ ისლანდიისკენ დაიძრა.

„ევროლიგის“ კვალი

სერიოზული არაფერიაო

იტალიელმა ექიმმა ანჯელო კავალომ ხვიჩა კვარაცხელიას ტრავმის შესახებ ნეაპოლურ მედიასთან ისაუბრა. როგორც მან თქვა, ასეთი ტრავმისგან გამოსაჯანმრთელებლად 2 კვირაა საჭირო.

მისი განცხადებით, თუ მკურნალობა სწორად წარიმართება, ეს დაზიანება მომავალში თავს არ იჩენს და შემდგომ გართულებებს არ გამოიწვევს.

„ტერმინი წელის ტკივილი ნიშნავს სიმპტომს და არა პათოლოგიას. სპორტსმენების შემთხვევაში წელის ტკივილი უკავშირდება დისკის თიაქარს. კვარას შემთხვევაში ტრავმა „ენფილდზე“ დაცემას უკავშირდება და ეს არ არის ზედმეტი დატვირთვისგან გამოწვეული დაზიანება. უხეშად რომ ვთქვათ, ეს არის კუნთების კონტრაქტურა, რომელიც ძლიერ ტკივილს იწვევს და ფეხბურთელი იძულებულია მოედანზე მოძრაობებში შეიზღუდოს.

ჩვეულებრივ ასეთი ტრავმისგან გამოჯანმრთელებას 2 კვირა სჭირდება, მაგრამ ექიმები კანონიკო და დე ლუკა შესანიშნავი სპეციალისტები არიან და ყველაფერს აკეთებენ, რომ ის რაც შეიძლება მალე დაბრუნდეს. თეორიულად შესაძლებელია, რომ „უდინეზესთან“ ითამაშოს, მაგრამ ასეთი ტრავმა მარტივი არასადროსაა.

ტრავმა ყოველთვის ტოვებს გარკვეულ შედეგებს და ინფილტრატები კორტიზონზეა დაფუძნებული, ამიტომ ინფილტრაციას დიდი აზრი არ ექნება. საქმეში ფიზიოთერაპია ჩაერთვება. „ნაპოლის“ სამედიცინო პერსონალი სასწაულებს ახდენს, თუმცა გარწმუნებთ, რომ „ემპოლისთან“ (2: 0) მისი თამაში თავიდანვე გამორიცხული იყო. იქონიებს თუ არა ეს ტრავმა გავლენას სეზონის განმავლობაში? თუ კარგად უმკურნალებენ, საერთოდ არა. ეს რისკი არ წარმოიქმნება თუ კვარას „ნაპოლის“ სამედიცინო სტაფში სათანადოდ მკურნალობენ“, – თქვა კავალომ.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში ხვიჩა კვარაცხელიამ ყველა ტურნირზე 16 მატჩში 8 ბურთი გაიტანა, 8 საგოლე პასი გააკეთა და სამჯერ პენალტი მოიპოვა. კვარას წელის ტრავმის გამო ორი მატჩი გაუცდა, 12 ნოემბერს, „უდინეზესთან“ თამაშის საკითხი კი ჯერ გარკვეული არაა.

კორტზე

პირველი ტიტული

დანიელი თინეიჯერი ჰოლგერ რუნე პარიზის მასტერსის ჩემპიონი გახდა. ფინალში მან თვით ნოვაკ ჯოკოვიჩი 3-6, 6-3, 7-5 დაამარცხა. რუნესთვის ეს კარიერაში მასტერსის სერიის პირველი ტიტულია.

19 წლის რუნემ ტურნირის ფინალამდე ტოპ ათეულის ოთხი ჩოგბურთელი - პოლონელი ჰუბერტ ჰურკაჩი, რუსი ანდრეი რუბლევი, მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ესპანელი კარლოს ალკარასი და კანადელი ფელიქს ოჟიე-ალიასიმე დაამარცხა. ამ გამარჯვებით ახალ რეიტინგში ის ტოპ ათეულში შევა.

„მე არ ვარ ბედნიერი იმით, რომ დამამარცხე, მაგრამ მეორე მხრივ, შენს გამო მიხარია, რადგან მომწონს შენი პიროვნება. ძალიან მონდომებული ადამიანი ხარ, ვისაც ჩოგბურთი უყვარს. ბევრი საათი შრომაში გაქვს გატარებული და ამის საზღაური დღეს მიიღე. ნათელი მომავალი გაქვს“, – ასე მიმართა ახალ ჩემპიონს ტურნირის ძველმა ჩემპიონმა.

პირველ სეტში რუნე კალაპოტიდან იყო ამოვარდნილი და მეტოქის თითქმის უშეცდომო თამაშს ვერაფერს უპირისპირებდა, დანიელი კი ხშირად ცდებოდა, მაგრამ მეორე სეტში ყველაფერი შეიცვალა. რუნემ მეორე სეტის დასაწყისშივე შეძლო მეტოქის მოწოდების აღება. მან შეცდომებსაც უკლო და ზუსტი დარტყმებით სერბს ბევრ პრობლემას უქმნიდა. ამით შედეგსაც მიაღწია და სეტებში ანგარიში გაათანაბრა.

გადამწყვეტ სეტში ჯოკოვიჩი 3-1 დაწინაურდა და თითქოს შეხვედრაც მოგებით უნდა დაესრულებინა, მაგრამ რუნემ ბრეიკით უპასუხა, რის შემდეგაც ჯოკოვიჩს ფიზიოდახმარება დასჭირდა. ექვსი გეიმის შემდეგ კი ანგარიში 3-3 გახდა. მე-11 გეიმში დანიელმა კიდევ ერთ ბრეიკს მიაღწია და 6-5 დაწინაურდა.

ჯოკოვიჩმა გაბრძოლება სცადა. მე-12 გეიმი 17 წუთი გაგრძელდა, რა დროშიც მაყურებელმა ორივე ჩოგბურთელს, ფეხზე წამომდგარმა ოვაცია რამდენჯერმე გაუმართა.

რუნემ, ვინც პირველ წრეში სტენ ვავრინკასთან შეხვედრისას სამი მატჩპოინტი მოიგერია, ამჯერად მეტოქეს ექვსჯერ არ მისცა ბრეიკპოინტის გამოყენების საშუალება და საბოლოოდ გამარჯვებასაც მიაღწია.



დაფასება

ჰამილტონი ბრაზილიის საპატიო მოქალაქეა

ფორმულა 1-ის შვიდგზის ჩემპიონმა, ბრიტანელმა ლუის ჰამილტონმა ბრაზილიის საპატიო მოქალაქის წოდება მიიღო. მას ეს წოდება ბრაზილიის ქვედა პალატის კონგრესმა მიანიჭა, რის შემდეგაც აღიარება თავისი ბავშვობის კერპის, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის აირტონ სენას ხსოვნას მიუძღვნა.

„ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ახლა უკვე ერთ-ერთი თქვენგანი ვარ“, – ამ სიტყვებით მიმართა ჰამილტონმა თავის ფანებს, რომლებსაც 2008 წელს იმედი გაუცრუა, როდესაც ბრაზილიის დიდი პრიზის რბოლის ბოლო მოსახვევში ჩემპიონის ტიტული წაართვა ბრაზილიელ ფელიპე მასას. ეს მისი პირველი ტიტული იყო.

მანვე გასულ სეზონში, ბრაზილიის დიდი პრიზის მოგების შემდეგ, შენელების წრეზე ბრაზილიის დროშა ააფრიალა, რითაც ბრაზილიელი ფანების გულები მოიგო, ხოლო მოგვიანებით დროშა კვარცხლბეკზეც ააფრიალა.

37 წლის ჰამილტონისთვის ბრაზილიის საპატიო მოქალაქის სტატუსის მინიჭების ინიციატივა კონგრესმენმა **ანდრე ფიგუეირედომ** მას შემდეგ შესთავაზა კონგრესს, რაც ბრიტანელმა ბრაზილიის რბოლა მესამედ მოიგო.

„ბრაზილიასთან ბევრი საოცარი მოგონება მაკავშირებს. განსაკუთრებული შარშანდელი რბოლაა. ვიცოდი-რა, რომ თქვენ მქომაგობდით, მე დამატებითი შემართებით ვიბრძოლე“, – განაცხადა ლურჯ ჟაკეტში გამოწყობილმა ჰამილტონმა.

ავეჯის მწარმოებელი კომპანია „მელაძის“ მფლობელი დიდი ოდენობით თანხების მითვისებაშია მხილებული

„საზოგადოების ინფორმირების მიზნით განვმარტავთ, რომ ავეჯის მწარმოებელი კომპანია “მელაძის“ მფლობელი ბრალდებულია დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე. ასევე, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულია კიდევ ორი პირი.

შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებული ჯგუფურად — მეუღლესთან და კიდევ ერთ პირთან ერთად, სასურველი ავეჯის დამზადების პირობით, 26 მოქალაქის კუთვნილ 473 252 ლარს მოტყუებით დაეუფლა.

პროკურატურის მიერ ბრალდების წარდგენის შემდგომ, ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლომ კომპანია „მელაძის“ მფლობელს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო — 7000 ლარის ოდენობით შეუფარდა. მასვე, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დაეკისრა საგამოძიებო ორგანოსთვის პასპორტის ჩაბარების ვალდებულება და პროკურორის ან გამომძიებლის ნებართვის გარეშე, აეკრძალა საქართველოს სახელმწიფოს საზღვრის გადაკვეთა.

მიუხედავად აკრძალვისა, ბრალდებული გამოძიებას მიემალა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურატურამ სასამართლოს ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის მოთხოვნით მიმართა. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ პროკურატურის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება გირაო, პატიმრობით შეიცვალა და მის მიმართ გამოცხადდა ძებნა.

ბრალდების წარდგენის შემდგომ, საგამოძიებო ორგანოს კიდევ ათეულობით დაზარალებულმა მიმართა ბრალდებულის მხრიდან მათ მიმართ განხორციელებული ანალოგიური თაღლითობის ფაქტებზე.

იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ბრალდებულს უკანონოდ აქვს გადაკვეთილი საქართველოს საზღვარი, აღნიშნულ ნაწილში მისი ბრალდება დამძიმდება და დამატებით წარედგინება ბრალდება შესაბამისი მუხლით.

საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ბრალდებულის მეუღლე, უშუალოდ იყო ჩართული თაღლითურ სქემაში, იყო კომპანია “მელაძის“დამფუძნებელი, პირადად მონაწილეობდა საწარმოს მართვაში და მისი მითითებით ხდებოდა დაზარალებულების თანხების განკარგვა.

ვინაიდან, აღნიშნული პირიც თავს არიდებდა საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას, მას გადაკვეთილი აქვს საქართველოს საზღვარი და იმყოფება მიმალვაში, პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ მას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. მეორე პირის მიმართ, რომელიც აგრეთვე თაღლითობაშია მხილებული აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნა გირაო 15 000 ლარის ოდენობით.

სისხლის სამართლის საქმეზე, შინაგან საქმეთა სამინისტროში ინტენსიურ რეჟიმში გრძელდება გამოძიება. საგამოძიებო ორგანოს თითქმის ყოველდღიურად მიმართავენ ახალი დაზარალებულები. ამ დროისათვის საქმეში ფიგურირებს 47 დაზარალებული და მათ მიმართ მიყენებული ზიანი ჯამში შეადგენს 719 408 ლარს.

ამასთან, გვსურს აღვნიშნოთ, რომ ბრალდებულის მიერ ფეისბუქის პირად გვერდზე სხვათა პერსონალური მონაცემების გავრცელებასთან დაკავშირებით, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გამოძიება სხვისი პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვების, შენახვის და სოციალური ქსელის მეშვეობით გავრცელების ფაქტზე დაიწყო“, — აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

დამატებითი რეისები ბათუმის მიმართულებით

საქართველოს რკინიგზა 11 ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ბათუმის მიმართულებით დამატებით რეისებს ნიშნავს, — ამის შესახებ აღნიშნულია საქართველოს რკინიგზის მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებულ განცხადებაში.

საქართველო 2022 წლის საუკეთესო ტურისტულ მიმართულებად დაასახელეს

ბრიტანეთის უმსხვილესმა სამოგზაურო ჟურნალმა Wanderlust საქართველო 2022 წლის საუკეთესო ტურისტულ მიმართულებად დაასახელა.

ჯილდო Wanderlust-ის ყოველწლიურ დაჯილდოებაზე საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასა და დიდ ბრიტანეთში საქართველოს ელჩს გადაეცა.

გავლენიანი ბრიტანული გამოცემა მოგზაურობის შესახებ ამზადებს სტატიებსა და გამოკითხვებს. ყოველწლიურად, ბრიტანული გამოცემა საუკეთესო ტურისტულ მიმართულებებს ასახელებს.

Wanderlust მკითხველს ეხმარება მოგზაურობის დაგეგმვაში, საიტის საშუალებით ინფორმაციას უზიარებს მიმართულებების შესახებ. სოციალურ ქსელებში Wanderlust-ს 200 ათასამდე გამომწერი ჰყავს, თითოეულ მასალას კი 100 ათასამდე ადამიანი კითხულობს“, — აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

სანთელი

შვილები თამარ და გიორგი ლეონიძეები, შვილიშვილები ნინო, მარიამ ზალდასტანიშვილები, თამარ ლეონიძე, რძალი ნინო წერეთელი, დისწული ზაზა გამცემლიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნიკო ლეონიძე

პანაშვიდი: 10, 11 ნოემბერს. დაკრძალვა 12 ნოემბერს, 14:00 საათზე. მისამართი: თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა №2, მეორე სადარბაზო, მესამე სართული.

რუსეთს არ ვეხმარებიო...

ფხენიანში აცხადებენ, რომ ქვეყანა არ არის ჩართული რუსეთთან იარაღით ვაჭრობის გარიგებაში და მოსკოვისთვის შეიარაღების გადაცემას არც სამომავლოდ გეგმავს.

„ჩვენ მივიჩნევთ აშშ-ის ამგვარ ნაბიჯებს, როგორც მისი მტრული მცდელობის ნაწილს, შელახოს ჩრდილოეთ კორეის იმიჯი საერთაშორისო არენაზე“, — აღნიშნულია ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლების განცხადებაში. გასულ კვირას აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ეროვნული უსაფრთხოების პრესსპიკერმა, ჯონ კირბიმ თქვა, რომ ვაშინგტონს აქვს ინფორმაცია ჩრდილოეთ კორეის მხრიდან რუსეთისთვის იარაღის გადაცემასთან დაკავშირებით. კირბის თქმით, ფხენიანი ტვირთების დამალვას ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნების გავლით ცდილობდა.

ორი საშინელი წელი... ბაიდენისთვის

„თუ ჩვენ წარმომადგენელთა პალატასა და სენატს დავკარგავთ, წინ ორი საშინელი წელი გველოდება. კარგი ამბავი ისაა, რომ ვეტოს გამოყენების შესაძლებლობა მექნება“, — განაცხადა ბაიდენმა ჩიკაგოში გამართულ ღონისძიებაზე.

შუალედური არჩევნების შემდეგ გაირკვევა, შეინარჩუნებენ თუ არა დემოკრატები უმრავლესობას, თუ კონგრესზე კონტროლი რესპუბლიკელებს გადაეცემათ.

ჩინეთი ნებისმიერი ომისთვის მზად უნდა იყოს!

ჩინეთის პრეზიდენტის, სი ძინპინის განცხადებით, ჩინეთი ყურადღებას გაამახვილებს ომისთვის მომზადებაზე. მისი თქმით, ერის უსაფრთხოება სულ უფრო არასტაბილური და გაურკვეველია.

„ჩინეთი ყოვლისმომცველად გააძლიერებს სამხედრო წვრთნებს და მზადებას ნებისმიერი ომისთვის“, — აღნიშნა სი ძინპინმა.

ძლიერი მიწისძვრა ნეპალში

ნეპალში ძლიერი მიწისძვრა მოხდა, რის შედეგადაც ექვსი ადამიანი დაიღუპა. Reuter-ის ცნობით, 6.6 მაგნიტუდის მიწისძვრა 9 ნოემბერს, გამთენიისას მოხდა.

დაღუპულთა შორის ოთხი ბავშვი და ორი ზრდასრულია. ხუთი ადამიანი მძიმედ დაშავდა, ორი კი დაკარგულად ითვლება. მიწისძვრა ისეთი ძლიერი იყო, რომ ბიძგები ინდოეთშიც იგრძნობოდა. კერძოდ, მიწისძვრამ ინდოეთის დედაქალაქ ნიუ-დელის ბევრი მცხოვრები გამოაფხიზლა.

ჯათარზისი
საერთაშორისო ჰუმანიტარული ჯავშირი (ასოციაცია)
International Humanitarian Union (Association)
Catharsis

ვიწვევთ ასოციაცია „კათარზისის“ თავშესაფარში ცხოვრების მსურველ საპენსიო ასაკის, თვითმოვლის უნარის მქონე ხანდაზმულ ქალბატონებს.
დეტალური ინფორმაციისთვის მსურველები დაგვიკავშირდნენ 10 სთ-დან 18 სთ-მდე. ტელ: 2957876, 558194130
ზაურ (ოლეგ) ალადაშვილი „კათარზისის“ პრეზიდენტი



„ᲑᲐᲡᲘᲐᲜᲘ“ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲡ ᲘᲞᲧᲠᲝᲑᲡ

ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ **სიმღერის სახელმწიფო ანსამბლ „ბასიანის“ გასტროლი აშშ-ში წარმატებით გრძელდება. სოლო-კონცერტები უკვე გაიმართა ბერკლიში, კალიფორნიის უნივერსიტეტში, სანტა-მონიკასა და ჩიკაგოში და სანტა-ფეში, ნიუ-მექსიკოს შტატში.**

დღეს, 10 ნოემბერს „ბასიანს“ პენსილვანიაში ელიან. ანსამბლი გასტროლს 12 ნოემბერს ნიუ-იორკში კონცერტით დაასრულებს.

ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲯᲒᲣᲤ NAZARETH-ᲘᲡ ᲕᲝᲙᲐᲚᲘᲡᲢᲘ

ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲣᲠᲘ **როკ-ჯგუფის, Nazareth-ის ვოკალისტი და ერთ-ერთი დამაარსებელი, დენ მაკაფერტი გარდაიცვალა.**

მუსიკოსის გარდაცვალების მიზეზი არ ვრცელდება, თუმცა 2013 წელს მაკაფერტიმ განაცხადა, რომ ჯანმრთელობის პრობლემების გამო, რეგულარულ გამოსვლებს წყვეტს. როგორც მუსიკოსი მაშინ გამოტყდა, მას ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება და კუჭის წყლული ჰქონდა.

ᲘᲐᲠᲐᲚᲡ ᲥᲐᲗᲐᲛᲨᲘ... ᲛᲐᲚᲐᲕᲓᲐ

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ **ფლორიდის აეროპორტის უსაფრთხოების ოფიცრებმა განაცხადეს, რომ იარაღი იპოვეს, რომელიც ნედლი ქათმის შიგნით იყო მოთავსებული. მგზავრს ნედლ ქათამში მოთავსებული იარაღი ბარგში ჰქონდა შენახული. სატრანსპორტო უსაფრთხოების ადმინისტრაციამ იარაღი ფორტ-ლოდერდეილ-ჰოლივუდის საერთაშორისო აეროპორტში აღმოაჩინა.**

ამ ეტაპზე უცნობია მოგზაურის ვინაობა, ასევე უცნობია მოხდა თუ არა მისი დაკავება იარაღის აღმოჩენის შემდეგ. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

51 ᲛᲣᲡᲚᲘᲛᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲡ ᲐᲡᲐᲩᲘᲕᲠᲔᲑᲡ

ᲐᲮᲐᲚ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ **კაცი, რომელმაც 51 მორწმუნე მუსლიმი მოკლა, თავის განაჩენს გაასაჩივრებს. ახალი ზელანდიის სააპელაციო სასამართლომ დაადასტურა, რომ 32 წლის ბრენტონ ტარანტმა საჩივარი გასულ კვირას შეიტანა. სასამართლოში განაცხადეს, რომ სხდომის თარიღი ჯერ დადგენილი არ არის.**

ბრენტონ ტარანტმა 2019 წლის მარტში კრაისტჩერჩის ორ მეჩეთში მორწმუნეები დახოცა. მომდევნო წელს ტარანტმა დანაშაული აღიარა. მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს პირობით ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობის გარეშე, რაც ახალ ზელანდიაში მაქსიმალური სასჯელია.

ᲨᲝᲜ �პᲔᲜᲛᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲝᲡᲙᲐᲠᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲩᲐᲘᲢᲐᲜᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ **რეჟისორი და მსახიობი შონ პენი უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ მესამედ ჩავიდა. შონ პენმა ვოლოდიმირ ზელენსკის ოსკარის ქანდაკება გადასცა, რომელსაც მსახიობი უკრაინაში ომის დასრულებამდე დატოვებს.**

აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას და ვიდეომასალას უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი სოციალურ ქსელში აქვეყნებს. უკრაინის პრეზიდენტმა შონ პენს გულწრფელი მხარდაჭერისთვის და მსოფლიოში უკრაინის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა.

ᲜᲝᲠᲕᲔ�გᲘᲔᲚᲛᲐ ᲞᲠᲘᲜᲪᲔᲡᲐᲛ ᲨᲐᲛᲐᲜᲗᲐᲜ ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲜᲝᲠᲕᲔ�გᲘᲘᲡ **პრინცესა მართა ლუიზამ, ამერიკელ შამანთან ქორწინების გამო, სამეფო ოჯახის უფლებამოსილებებზე უარი თქვა.**

მეფე ჰარალდ V-ისა და დედოფალ სონიას ქალიშვილი ტიტულს შეინარჩუნებს, თუმცა ოფიციალურ ღონისძიებებზე ის ოჯახს ვეღარ წარადგენს. 51 წლის მართა ლუიზას განმარტებით, მან გადაწყვეტილება მშობლებთან კონსულტაციის შემდეგ მიიღო. ნორვეგიის პრინცესის საქმრო აშშ-ის მოქალაქე, აფრიკული წარმოშობის დურეკ ვერეტია. წყვილმა ურთიერთობა 2019 წელს დაიწყო.

2022 ᲬᲚᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲪᲘ



ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ **PEOPLE-მა 2020 წლის ყველაზე სექსუალურ კაცად მსახიობი კრის ევანსი დაასახელა.** 41 წლის ევანსი ახალი სტატუსის მფლობელი სულ ახლახან გახდა. მისი თქმით, ამ სტატუსით ყველაზე მეტად ბედნიერი დედამისი იქნება. — **„ჩემი ყველა ნაბიჯით ამაყობს, მაგრამ ამით აუცილებლად იტრაბახებს“,** — ამბობს კრის ევანსი.

სკოლის მოსწავლე ევანსისთვის, რომ გეთქვათ, ერთ დღეს გამოცემა People-ის ყოველწლიურ გამოკითხვაში ყველაზე სექსუალურ მამაკაცად დასახელდებიო, ნამდვილად არ დაიჯერებდა.

როგორც მან თქვა, იმ პერიოდში არცთუ ისე პოპულარული ბიჭი იყო. კრის ევანსი ამბობს, რომ ამჟამად მისთვის პრიორიტეტულია პირად ცხოვრებასა და სამსახურს შორის ჯანსაღი ბალანსის პოვნა, რომ რაც შეიძლება მეტი დრო გაატაროს ბოსტონში მცხოვრებ ოჯახთან.

თავის კარიერაში 22 წლის მოღვაწეობის მერე ევანსმა აღიარა, რომ მისთვის დამშვიდების ეტაპი დადგა.

ᲙᲐᲠᲓᲘᲜᲐᲚᲘ ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲛᲐ ᲨᲔᲐᲜᲣᲮᲐ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ **კათოლიკური ეკლესიის ერთ-ერთი მაღალი რანგის წინამძღვარი, კარდინალი ჟან-პიერ რიკარი ამბობს, რომ 35 წლის წინ 14 წლის გოგოზე სექსუალურად იძალადა.**

კარდინალი უარს ამბობს რელიგიურ მსახურებასა და თავის სასულიერო წოდებაზე.

კარდინალის აღიარების შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც გასულ წელს გამოქვეყნებულ მოხსენებებში საფრანგეთის კათოლიკურ ეკლესიაში ბავშვთა სექსუალური ძალადობის შემთხვევები გამოვლინდა.

„35 წლის წინ, როცა მღვდელი ვიყავი, 14 წლის ახალგაზრდა გოგონაზე ვიძალადე. ჩემმა საქციელმა ხანგრძლივი და ცუდი შედეგი გამოიღო“, — თქვა რიკარმა წერილობით განცხადებაში.

78 წლის რიკარი იყო ბორდოს მთავარეპისკოპოსი, სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში. მან ტაძარი 2019 წელს დატოვა.

რიკარმა თქვა, რომ მსხვერპლს ესაუბრა და პატიება სთხოვა, თუმცა არ დაუკონკრეტებია ეს როდის მოხდა. მისი თქმით, ის ასევე მიტევებას ითხოვს ყველასგან, ვისაც კი აწყენინა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲟᲐᲕᲨᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ №170

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

�პᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
�გᲣᲠᲐᲛ ᲒᲝ�გᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲨᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ — ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ �გᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
599 53-76-16; 599 36-00-35
ᲨᲡ „ᲗᲘᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
ᲢᲔᲚ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ „ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
Ე. ᲒᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 14 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 2.7366; ᲔᲕᲠᲝ - 2.7366
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.1413;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.4843; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.1471;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.6119;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.9136.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 10 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+1,	ᲓᲦᲔ	+14
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	–1,	ᲓᲦᲔ	+12
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+7,	ᲓᲦᲔ	+19
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+3,	ᲓᲦᲔ	+15
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+5,	ᲓᲦᲔ	+12

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@top.ge
ᲓᲐ sakresp@mail.ru
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge